ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 10 მარტი 2004 №53 (2072) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერი — პორტუ 1:1

ოლდ ტრეფორდი მოკლეს

UEFA CHAMPIONS LEAGUE

უბრალოდ მწვრთნელმა, ჟოზე მაურინიუმ გააზნაურებული ფერგიუსონი კვივით გალეჯა



კოშტინიამ მანჩესტერელებს დანასავით გოლი გაუყარა



დღეს

რეალი — ბაიერნი

ჩემპიონთა ლიგა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები. გუშინ

ჩელსი (ლონდონი, ინგლისი) 0:0 **შტუტგარტი (გერმანია) (1:0)**

ჩელსი: კუდიჩინი, ჯონსონი (დესაი 31), გალასი, ტერი, ბრიჯი, პარკერი (ჯერეზი 61), მაკელელე, ლამპარდი, დაფი (მუტუ 83), კრესპო, გრონჯიერი

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი (გომესი 80), ფიგკოვიჩი, ბორდონი, ლამი, მეირა, სოლდო, მაისნერი (ტიფერტი 62), გლები, კურანი, კაკაუ (საბიჩი 40)

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: ჰინკელი (61)

მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

36 657 მაყურებელი

იუვენტუსი (ტურინი, იტალია) 0:1 დეპორტივო (ლა კორუნია, ესპანეთი) (0:1)

0:1 პანდიანი (12)

იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, ლეგროტალიე, მონტერო, კამორანეზი (კიუმიენტო 70), ტაკინარდი, აპია, ნედვედი, დელ პიერო (მიკოლი 8), დი ვაიო

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

დეპორტივო: მოლინა, სკალონი, ფორეჟ ანდრადე, ნაიბეტი, კაპდევილა, ვიქტორი, მაურო სილვა, სერხიო, ვალეროონი (დუშერი 78), პანდიანი (ტრისტანი 82), ლუკე (ფრანი 62)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

გაფრთხილება: ტაკინარდი (8), ფერარა (55), ვიქტორი (69), მაურო სილვა (74), მონტერო (75)

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

24 000 მაყურებელი

ლიონი (საფრანგეთი) **1:0 სოსიედადი (სან სებასტიანი, ესპანეთი) (1:0)**

1:0 ჟუნინიო პერნამბუკანო (77)

ლიონი: კუპე (ვერკუტრე 17), დეფლანდრე, ედმილსონი, მიულერი, მალუდა, ეხიენი, მ. დიარა, ჟუნინიო პერნამბუკანო, დორასო (სარტრე 88), გოვუ, ლუინდულა (ელბერი 82)

მწვრთნელი: პოლ ლე გუენი

სოსიედადი: ალბერტო, ლოპეს რეკარტე, ხაურეგი, შურერი (დე პაულა 84), პოტილიონი, ხაბი ალონსო, კარპინი, არანბურუ (დე პედრო 62), ალკისა, გაბილონდო (ნიპათი 62), კოვაჩევიჩი

მწვრთნელი: რეინალდ დენიო

გაფრთხილება: ედმილსონი (34), კარპინი (41), ხაურეგი (65), შურერი (66)

მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)

38 914 მაყურებელი

მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) 1:1 *პორტუ (პორტუგალია)* **(1:2)**

1:0 სქოულზი (32), 1:1 კოშტინია (90)

მანჩესტერ იუნაიტედი: ჰოვარდი, ფ. ნევილი, გ. ნევილი, ბრაუნი, ოში, ფლეტჩერი (კ. რონალდო 75; სოლსკიაერი 83), ჯემბა-ჯემბა (საჰა 46), ბათი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

პორტუ: ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ორეჟ კოშტა (პედრუ ემანუელი 37), რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, ალენიჩევი (რ. ფერნანდეში 81), კოშტინია, მანიშე, დეკო სოუზა, მაკკარტი, კარლოს ალბერტო (იანკაუსკასი 61)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: ფ. ნევილი (16), კოშტინია (22), სქოულზი (61), მანიშე (74), მაკკარტი (90)

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

67 029 მაყურებელი

„ჩელსი", „დეპორტივო", „ლიონი" და „პორტუ" გავიდნენ მეოთხედფინალში

„იუვენტუსმა" დელ პიერო და ჩემპიონთა ლიგა დაკარგა

ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
მიდლსბრო 1:0 ტოტენჰემი

I დივიზიონი
გადადებული მატჩები
ვესტ ჰემი 5:0 უიმბლდონი
ბრედფორდი 2:0 უოტფორდი

III დივიზიონი
გადადებული მატჩები
დარლინგტონი 2:1 ჩელტენჰემი
კარლაილი 1:0 ჰადერსფილდი
სუონსი 1:1 როჩდეილი
იორკი 1:3 სკანთორპი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩები
ბარნეტი 0:0 სტივენეიჯი
ბარტონი 2:1 ტელფორდი
დაგენემი 0:0 ტემფორთი
ჰალიფაქსი 0:1 ფორესტ გრინი

შოტლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
აბერდინი 0:0 პარტიკი

I დივიზიონი
გადადებული მატჩი
ფოლკირკი 0:1 სენტ ჯონსტონი

II დივიზიონი
გადადებული მატჩები
ჰამილტონი 2:0 დამბარტონი
მორტონი 1:1 ერდრი

III დივიზიონი
გადადებული მატჩები
ალბიონი 5:1 ისტ სტირლინგი
კუუდენბითი 1:2 სტრანრარი

დეპორტო — მანჩესტერ იუნაიტედი

3:0

ერთვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი — შტუტგარტი. ჯონ ტერიმ კევინ კურანის ფეხი არ გაანძრევინა

ვერ გეტყვით, დღევანდელი სალიგო მერვედფინალების შემდეგ რა ხასიათზე იქნებიან „ბაიერნის" ფანები, თუმც გუშინ რომ გულს მოიოხებდნენ, თქმა არ უნდა. „მანჩესტერს" თითქმის იგივე დაემართა, რაც ხუთი წლის წინანდელ დაუვიწყარ ფინალში შეამთხვია ბავარიელებს: ბოლო წუთის ოსტატი, ბოლო წუთზე დაეცა... წუხელ „ოლდ ტრეფორდის" მწვანეზე სიხარულისგან ლამის შეშლილ ლაბადიანი კაცი დარბოდა, ეს კაცი ჟოზე მაურინიუ გახლდათ. ახალგაზრდა, ნიჭიერი მწვრთნელი, რომელსაც საამსეზონოდ პორტუგალიურ ჩემპიონატში წაგება ჯერაც არ უნახავს, წუხელ კი დიდი საფეხბურთო ეშმაკობების ჩამხლართავ ბებერ სერ ალექს ფერგიუსონს ბრძენივით გადმოხედა.

„პორტოს" ფანტასტიკური ბოლო წუთი ჰქონდა: მიზანდასახული, ჟინიანი და იღბლიანი. იმ ბოლო წუთამდე თითქმის არაფრით გამორჩეულმა იანკაუსკასმა ყველაზე საჭირო მომენტში მოინაგრა ჯარიმა. ბენი მაკკარტიმ ოსტატურად დააბზრიალა ბურთი და ჰოვარდს უხერხული მოგერიება გამოუვიდა — მსხვერპლზე ჩასაფრებული ნიანგივით დაუნდობელი იყო კოშტინია: გოლი და ჟოზეს ლაბადის ფრიალი „ოლდ ტრეფორდზე"...

სანახევროდაც ვერშევსებული „დელე ალპის" შემხედვარე, იფიქრებდი, ტურინი შეგუებულია „იუვენტუსის" საბოლოო მარცხსო. უღონო და განწირული იყო გუშინ „ბებერი ქალბატონი" მატჩის დებიუტშივე რომ დაითარსა. ბევრიც არ იყო სასტარტო ჩასტვენიდან გასული, დელ პიერომ კუნთდაჭიმულ მარჯვენა ფეხზე რომ წაივლო ხელი და ფაბრიციო მიკოლის შეატოვა სალიგო ტვირთი. ეს იყო და ვალტერ პანდიანიმ ჯადო გოლით დახვრიტა მასპინძელი. გალისიელმა ვირტუოზულად გადაატარა საჯარიმოში ბურთი ფერარას და მონტეროს და ეფექტურად ჩაუსვა შორეულ კუთხეში ფუჭად გაფრენილ ბუფონს. „იუვე" ცდილობდა სიტუაციის შეცვლას, თუმც ეს უფრო ბედს შეგუებულის მცდელობა გახლდათ. მასპინძელთაგან მიკოლის შეეძლო სამ ეპიზოდში გატანა, ერთხელაც აპიამ ამოსცხო ბურთს 35-ოდე მეტრიდან და ჯვარედინიც შეაზანზარა, თუმც „დეპორტივომ" ბოლომდე მართა ვითარება მოედანზე და ანგარიშის გაზრდის არაერთი შანსიც გაიჩინა.

„ჩელსის" და „ლიონის" მეოთხედფინალში გასვლას დიდი გამოცნობა არ სჭირდებოდა. ინგლისელებს და ფრანგებს მერვედფინალის პირველი მატჩები სტუმრად ერთნაირი ანგარიშით — 1:0 ჰქონდათ მოგებული და შინაურ სარბიელებზე ეს უპირატესობა აღარ გაუფლანგავთ. ერთი რამ კი თავშესაქცევია: ლონდონელები ისე გავიდნენ მეოთხედფინალში, არც ერთ ჩელსელს გოლი არ გაუტანია „შტუტგარტისთვის". ამ ორის გერმანულ მატჩში მეირას ავტოგოლი აღმოჩნდა გადამწყვეტი. ეს ფეხბურთელი გუშინ თავდაუზოგავად ცდილობდა რეაბილიტაციას, მისმა თანაგუნდელებმაც გვარიანად მოინდომეს, მაგრამ არ გაუმართლათ: „შტუტგარტმა" მატჩის მანძილზე შექმნილი ხუთამდე საგოლე მომენტიდან ვერც ერთი ვერ გამოიყენა და რომან აბრამოვიჩი და მისი გუნდი კვლავაც ჟინიანად იხედებიან ჩემპიონთა თასისკენ.

„სოსიედადს" იმან უმტყუნა, ვისიც დიდად ეიმედებოდა: დარკო კოვაჩევიჩი ლიონურ მატჩში მასპინძელ მცველებს შორის ჩაკარგული იყო. სამაგიეროდ, გოლის გატანის მისია წარმატებით შეასრულეს მოწინააღმდეგე გუნდიდან. ჟუნინიომ თამაშის ბოლოსკენ ზუსტი დარტყმით დაასრულა თავისიანთა ეფექტური კომბინაცია.

პაატა კვანტალიანი

დღეს ჟორდანია ჟირესის უის ელის

ბერნარ ლაპერეტი, ფოტო

საფრანგეთში მყოფი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და ნაკრების მომავალი მწვრთნელი ალენ ჟირესი ორწლიან კონტრაქტს, სავარაუდოდ, დღეს გააფორმებენ. ყოველ შემთხვევაში, ჟორდანია ჟირესის საბოლოო სიტყვას დღეს ელის და თავად მწვრთნელიც პრეზიდენტთან შეხვედრას სწორედ საღღეისოდ აპირებს.

— საბოლოო პასუხს ჯერ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ვეტყვი, შემდეგ კი ჟურნალისტებს. მერაბ ჟორდანიასთან დაკავშირებას ხვალ ვაპირებ, კონტრაქტზე ხელმოწერამდე მცირე ფორმალობები დარჩა, რამდენიმე საკითხი ადვოკატებთან კიდევ მაქვს შესათანხმებელი, რასაც ამ საღამოს გავაკეთებ — გვითხრა გუშინ ალენ ჟირესმა.

თითქმის იგივე გაგვიმეორეს ფედერაციის პრეზიდენტმა და ჟირესის მომავალმა თანაშემწემ გია გურულმა. მერაბ ჟორდანია, შეგახსენებთ, ამჟამად პარიზშია და მწვრთნელის სიტყვას ტულუზიდან ელის.

ქოგა ინასარიძე

ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

რეალი — ბაიერნი

მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ". მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია). პირველი მატჩი 1:1

ბაიერნი არ კან-კალებს

ქალის წვეთი სანტიაგო ბერნაბეუზე

ოლივერ კანს რობერტო კარლოსი დღეს ვერ შეაწუხებს

დღეს „რეალი" — „ბაიერნია", თამაში, რომლისადმი ინტერესი უეჭველად ექნება ისეთ კაცსაც კი, რომელსაც „რეალიც" სძულს და „ბაიერნიც". შეგახსენებთ, პირველი შეხვედრა მიუნხენში, „ოლიმპიაშტადიონზე" 1:1 დასრულდა. მიუნხენელები იგებდნენ, მაგრამ როდესაც საქმე რობერტო კარლოსის საჯარიმოზე მიდგა, მასპინძლების მეკარემ, ოლივერ კანმა უხეში შეცდომა დაუშვა...

და ბარემ დღევანდელ მატჩზე საუბარი 34 წლის გერმანელი გოლკიპერით დავიწყოთ. გაზეთ „ფრანკფურტერ ნოიეში პრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში მან აღიარა, რომ იმ შეცდომის შემდეგ, ორი კვირაა, სხვაზე ვერაფერზე ფიქრობს.

„ბოლო ორმა კვირამ მეკარეთა ცხოვრების მთელი სიმძიმე მაგრძნობინა, თუმცა ამ სიმძიმის ქვეშ გაჭყლეტას ნამდვილად არ ვაპირებ — თქვა კანმა — საუკეთესო ფორმაში ვარ და ვიცი, რაც შემიძლია".

კანის ეს განწყობა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმაც გაიზიარა:

„ოლი მსოფლიო კლასის მეკარეა და მას საკუთარი ძალებისა სწამს".

თუმცა რაღა მწვრთნელის სიტყვები მოვიტანეთ, მწვრთნელს ხომ თავისი ფეხბურთელების გამხნევებაში დიდ ხელფასს უხდიან. ჯობს მოვუსმინოთ სიმონა ვერნერს, მეკარის სატრფოს:

„ოლივერს ვჭირდები, როგორც მელნის წვეთი ღებავს 100 ლიტრ წყალს, ისე უნდა გავუჟღინთო სტადიონი ჩემი სიყვარულით".

თუმცა „ბაიერნის" ცნობილი კაპიტანყოფილი შტეფან ეფენბერგი სხვა აზრისაა:

„კანი დაბერდა და ცუდად თამაშობს, ის კარში აღარ უნდა იდგეს. „ბაიერნს" კი დიდებულადაც შეუძლია თამაში და ყველაფრის ერთ წამში წყალში ჩაყრაც კარგად ეხერხება. თუ გნებავთ, 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი გაიხსენეთ „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ".

ახლა კი კანს შევეშვათ და რობერტო კარლოსზე გადავერთოთ, რომელმაც გარდა იმისა, რომ ანგარიში გაათანაბრა, „ოლიმპიაშტადიონზე" კიდევ ერთი რამ ჩაიდინა, მიუნხენელ მარტინ დემიკელისს უხეშობაზე ალიყურით თუ რაღაც მაგვარით უპასუხა, რაც იმწუთას მსაჯს გამორჩა, მაგრამ კამერებმა გადაიღეს და ვიდეომასალის საფუძველზე უეფამ ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

„რეალმა" სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება გააპროტესტა, მაგრამ უშედეგოდ. უეფამ რობერტო კარლოსს დისკვალიფიკაცია ძალაში დაუტოვა და ეს ამბავი გუშინ აცნობა.

ერთი სიტყვით, „რეალს" პრობლემა აქვს: რობერტო კარლოსი დისკვალიფიცირებულია, რონალდო, მოგეხსენებათ, დაშავდა და რამდენიმე კვირით დაისვენებს, ყოველივე ამას კი ძალიან ცუდად ემატება რაულის ამბავიც — რაულს ფეხი სტკივა. მან შაბათს „სანტანდერთან" შეხვედრა გამოტოვა, რაც პრინციპში დაგეგმილი იყო, მაგრამ „რეალისთვის" უსიამოვნო გახლდათ ის, რომ კაპიტანმა ვერც ორშაბათს ივარჯიშა. უფრო სწორად, დილის ვარჯიშზე იგი ჯერ დარბაზში მუშაობდა, ხოლო შემდეგ მოედანზე გავიდა, სადაც მხოლოდ 10 წუთი ირბინა და შეჩერდა, თანაგუნდელებს ვერ შეუერთდა.

თუ რაული „ბაიერნის" წინააღმდეგ თამაშს ვერ შეძლებს, მაშინ მადრიდელთა თავდასხმაში, ალბათ, ხავიერ პორტილიოს ვიხილავთ, თუმცა კვირას, პრესკონფერენციაზე რაულმა სიტყვა-სიტყვით ასე თქვა, ოთხშაბათს რომ მოკვდე, მოედანზე მაინც გავალო.

„ბაიერნში" ვინღაა დაშავებული? ვილი სანიოლი, რომელსაც შკლავი აქვს მოტეხილი, მაგრამ (საულიმა რა იყოს, გიჟობა გადაწყვეტია და იმედი აქვს, რომ თერთმეტ კაცში მოხვდება. სანიოლმა შაბათს, „ლევერკუზენთან" (3:1) შეხვედრის დროს მოიტეხა ხელი.

„რაკიღა ვვარჯიშობ, ესე იგი, თამაშსაც შევძლებ" — თქვა სანიოლმა.

სამაგიეროდ, დღეს, სავარაუდოდ, ითამაშებს მიუნხენელთა მეორე ფრანგი ფეხბურთელი, ბიქსენტ ლიზარაზუ, რომელმაც „რეალთან" პირველი შეხვედრის დროს კუნთი გაიჭიმა ბარძაყზე. სავარაუდოდ, ითამაშებს პერუელი თავდამსხმელი კლაუდიო პიზაროც, ხოლო ბრაზილიელი ზე რობერტო ასე ამბობს:

„ძალიან მნიშვნელოვანია მადრიდშიც ისე ვითამაშოთ, როგორც მიუნხენში ორი კვირის წინ".

„ჩვენ მიუნხენში მართლაც შეუდარებელნი ვიყავით, მადრიდში კი იმავე მეტოქეს რობერტო კარლოსი და რონალდო არ ეყოლება. დიდი შანსი გვაქვს, რწმენით და ოპტიმიზმით გახლავართ სავსე" — დასძენს ზემოხსენებული სანიოლი.

პაპუნა კედია

სავარაუდო შემადგენლობები

რეალი

კასილიასი, სალგადო, ელგერა, პავონი, რაულ ბრავო, ფიგუ, ბექემი, სოლარი, ზიდანი, რაული, გუტი

ბაიერნი

კანი, სანიოლი (ან სალიჰამიჯიჩი), კუფური, რობერტ კოვაჩი, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, დემიკელისი, ბალაკი, ზე რობერტო, მაკაი, პიზარო

დისკვალიფიცირებული

რეალი: რობერტო კარლოსი (2 მატჩი); ბაიერნი: არავინ

მონაკო — ლოკომოტივი

მონტე კარლო. „ლუი მეორე". მსაჯი: ლუსილიუ კარდოზო კორტეს ბატისტა (პორტუგალია). პირველი მატჩი 1:2

ზღაპარია თუ ნამდვილი?

ჟიული არის და არ არის

გოლზე დაგეშილი ფერნანდო მორიენტესის შეჩერება მალხაზ ასათიანს მოუწევს

მოსკოვის „ლოკომოტივის" მწვრთნელი იური სიომინი საფრანგეთში გასულ პარასკევს ჩავიდა. „მონაკოს" ჩემპიონატის მატჩში „გენგამს" უმასპინძლა და რუსმა მეტოქე დაზვერა. სიომინმა სათავისოდ ალბათ ბლოკნოტში რაღაც მოინიშნა და გვარიანადაც შეწუხდებოდა, რადგან ფერნანდო მორიენტესმა გენგამელთა წინააღმდეგ ბრწყინვალედ ითამაშა — ორი გაიტანა და ერთიც პენალტი მოინადირა. ესპანელი ფორვარდის განსაკუთრებულ მონდომება ერთი ბუნებრივი მიზეზითაა გამოწვეული — ევროპის ჩემპიონატი ახლოვდება და „ელ მოროს" ეროვნულ გუნდში თამაში სურს. იგი ყოველი ფრონტიდან ცდილობს ინაკი საესს „გოლები გაუგზავნოს" და თავისი არსებობა შეახსენოს. ამიტომ „ლოკომოტივის" დაცვას „აღვირახსნილი" ესპანელის შესაჩერებლად ბევრი ოფლის ღვრა მოუწევს. მოსკოველები მონაკოში სამი დღის წინ ჩავიდნენ. სიომინმა 23 ფეხბურთელი იახლა. მათ შორის ორი ქორთველი და ორივე ჯანზეა. ტრავმა მოიშუშა მარატ იზმაილოვმა, რომელიც „მონაკოსთან" პირველი მატჩის შემდეგ გერმანიაში მკურნალობდა და გუნდს იქიდან შეუერთდა.

„ლოკომოტივის" მაისურებით პირველი გოლი გაიტანა დმიტრი სიჩოვმა. მან რუსეთს თასის მეოთხედფინალში გამოიჩინა თავი, თუმც დღეს ვერ ითამაშებს, რადგან „მარსელის" შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგა უკვე დააჭაშნიკა.

„ლოკომოტივს" ორი ფეხბურთელი დაკლდება. ტრავმების გამო ხოხლოვი და პიმენოვი ვერ ითამაშებენ.

„მონაკოს" სატკივარი ლუდოვიკ ჟიულია. დიდიე დეშანმა იგი მოსკოვურ მატჩში იახლა, მაგრამ მოედანს არ გააკარა. ჟიული ტრავმირებული იყო და გართულებას მოერიდნენ. ფრანგთა ჩია ნახევარმცველი „ფრანს ფუტბოლის" შარშანდელ გამოკითხვაში საფრანგეთში მესამე ადგილზე გავიდა. იგი მხოლოდ ზინედინ ზიდანს და ტიერი ანრის ჩამორჩა. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს, თუ რას ნიშნავს ჟიული „მონაკოსთვის". ვერცხლისწყალივით მოძრავ ნახევარმცველს მოედანზე ყველაფერი შეუძლია. აქამდე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლუდოვიკ ჟიულიმ დღეს „ლოკომოტივთან" ვერ უნდა ითამაშოს, მაგრამ, დმიტრი სიჩოვის აზრით, ეს ბლეფი მეტოქის დასაბნევად შეთხზეს.

ვაჟა ხუციშვილი

სავარაუდო შემადგენლობები

მონაკო

რომა, იბარა, როდრიგესი, გივე, ევრა, ბერნარდი, ზიკოსი, როტენი, პრსო, მორიენტესი, ადებაიორი

ლოკომოტივი

ოვჩინიკოვი, სენიკოვი (ან ნიჟეგოროდოვი), ასათიანი, პაშინინი, ლეკხეტო, ევსეევი, მამინოვი, ლოსკოვი, გურენკო, იზმაილოვი, აშვეთია

დისკვალიფიცირებული

მონაკო: არავინ;
ლოკომოტივი: არავინ

ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

არსენალი — სელტა

ლონდონი. „ჰაიბერი“. მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია). პირველი მატჩი 3:2

ანტიჩს ლონდონში სეგუნდა გააყოლეს



არსენ ვენგერი

რადომირ ანტიჩი

ლიგა კი არა, ანტიჩმა ასე თუ გააგრძელა, „სელტა“ სეგუნდა-დივიზიონში ჩაქვეითებას ვერ აცდებაო — ეს სიტყვები გააყოლეს „ჰაიბერიზე“ ვიგოელებს ესპანელმა მედიელებმა. ბუნებრივია, ამის თქმის საფუძველი პირველებს პრიმერას ბოლო ტურში „სელტას“ ამაზრზენმა თამაშმა მისცა. ვიგოელები შინ გასავარდნთა შორის მყოფ და უშუალო კონკურენტ „ესპანიოლთან“ 1:5 განადგურდნენ. იმ მატჩის შემდეგ გალისიელები კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს და მედიელთა რისხვა დღემდე მოჰყვება „სელტას“.

თავად რადომირ ანტიჩი კი იხტიბარს არ იტეხს, „ანოეტაზე“ „არსენალთან“ საშინაო მატჩის წინ ლაზარეთი გვქონდა, ინგლისში კი საბრძოლო შემადგენლობით ჩავდივართ და ვიომებთ, რადგან დასაკარგი არაფერი გვაქვსო.

ანტიჩი ერთ რამეში მართალია, მის გუნდს დასაკარგი მართლაც არაფერი აქვს, მაგრამ იქნებ იმიტომ, რომ სალიგოდ უკვე ყველაფერი დაკარგა. „სელტამ“ „არსენალთან“ საშინაო 2:3-ით, ფაქტობრივად, განაჩენი გამოუტანა საკუთარ თავს. ორი კვირის წინანდელი ვიგოური მატჩი პირველი ნაცნობობა გახლდათ ამ ორი გუნდისთვის. ბარემ ერთი სტატისტიკურიც ვთქვათ, „არსენალს“ ბოლო 20 წლის მანძილზე ესპანურ კლუბებთან ნათამაშებ 15 მატჩში ოდენ 4 მოგება დაგროვებია 8 წაგების სანაცვლოდ, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, ინგლისელთა ქომაგი სტატისტიკამ რომ არ უნდა დააფრთხოს. დიდი მოულოდნელობა იქნება, „მეთოფეებმა“ დღეს მეოთხედფინალში რომ ვერ შეაბიჯონ. მიუხედავად იმისა, რომ „ჰაიბერიზე“ „სელტას“ მცველი ხესული და მეკარე პაბლო კავალიეროც ეყოლება. ამათი თამაში იმიტომ გახლდათ საეჭვო, რომ ხესულს მუხლი აწუხებდა, კავალიეროს კი ცხვირი ჰქონდა გატეხილი.

არსენ ვენგერის გუნდი დღევანდელ მატჩში სილვენ ვილტორდს და რეი პარლოუს მოისაკლისებს. ეს ორი ტრავმირებულია, მაგრამ დანარჩენები ჯანზე არიან, თანაც ფაქტობრივად, ორკვირიანი დასვენება გამოუციდათ. დენის ბერხკამპი და რობერტ პირესს. შესაძლოა, დღეს „მეთოფეთა“ შორის ვიხილოთ ყმაწვილი ჯერემი ალიადერი, ვენგერს ეს ფეხბურთელი საამმატჩო განაცხადში ჰყავს.

თავისიანთა საერთო წარმატებაში დარწმუნებულია არსენ ვენგერი, მიუხედავად იმისა, რომ წინასამატჩო პრესკონფერენციაზე „სელტას“ მაღალი შეფასება მისცა — ძლიერად ითამაშეს ჩვენს წინააღმდეგ, თუნდაც იმიტომ, რომ ორი გოლი გაგვიტანესო, მაგარამ ვენგერს იმის თქმაც არ დაზარებია, რომ „არსენალმა“ „ანოეტაზე“ სამჯერ შეარხია ესპანელთა კარის ბადე. „მეოთხედფინალი „არსენალს“ ელოდება. ჩვენი შეჩერება წარმოუდგენელია“ — განაცხადა „მეთოფეთა“ ფრანგმა გურუმ.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ „ჰაიბერიზე“ პიერლუიჯი კოლინა იმსაჯებს.

ლადო ხომერიკი

საკვარაუდო შემადგენლობები

არსენალი

ლემანი, ლორენი, კემპბელი, ტურე, ე. კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, უილბერტო სილვა, პირესი, ანრი, ბერხკამპი

სელტა

კავალიერო, ველასკო, კასერესი, სერხიო, სილვინიო, ხესული, ხოსე იგნასიო, ედუ, ლუქსენი, მოსტოვოი, მილოშევიჩი

დისკვალიფიცირებულნი

არსენალი: არავინ; სელტა: არავინ

მილანი — სპარტა

მილანი. „სან სირო“. მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია). პირველი მატჩი 0:0

პირლოს აუცილებელი პირობა

ფეხზე დაგვიდგება ჩვენი სან სირო

ანდრეა პირლოს და პაოლო მალდინის „სპარტას“ დამარცხების არც ეეშვებათ

„მილანი“ „სპარტას“ ევროსარბიელზე ხუთჯერ შეხვდა. „შავ-წითლებმა“ ჩეხებს სამჯერ მოუგეს და ორჯერაც დაუზავდნენ. აღსანიშნავია, რომ სპარტელებს ამ ხუთ შეხვედრაში მეტოქისთვის ერთი გოლიც კი არ გაუტანიათ და თუ დღეს მოახერხებენ, თავისთავად გოლი ისტორიული იქნება.

გარდა ამისა, პრაღელებს ნავსის გატეხვა სხვა მხრივაც შეუძლიათ. ისინი იტალიურ კლუბებს სტუმრად ათჯერ გადაეყარნენ და ისე დაშორდნენ, რომ გამარჯვება ვერ შეძლეს. „სპარტას“ მოგება დღევანდელ გამართულ „მილანთან“ ძნელი წარმოსადგენი, ბურთის სიმრგვალის გამო კი დასაშვებია.

პრაღელებმა ერთი იტალიური გუნდის ჩამოშორება უკვე შეძლეს. ჯგუფურ ეტაპზე „ლაციოს“ რომში 2:2 გაუგორეს, შინ კი 1:0 სძლიეს.

„სპარტას“ სერბი მეგოლე იგორ გლუშკევიჩი დააკლდება. შესაძლოა, დღეს ჩეხთა გუნდში ტომაშ შივოკის სალიგო დებიუტი შედგეს, რადგან სტუმრებს ტრავმირებული მოთამაშეები მოუმრავლდნენ. ვერ ითამაშებენ ნემეცი და პეტრ ვორიშეკი.

ირჟი კოტრბას მილანში უგოლოს გარდა ნებისმიერი ფრე აწყობს და დაცვაში ჩაჯდომას აპირებს. მასპინძლები კი, ცხადია, შეუტევენ, ხოლო სტუმრები კონტრიერიშებზე ითამაშებენ.

„მილანის“ რიგებში კლარენს ზეედორფის გამოჩენა საეჭვოა. იგი ტრავმირებულია და თუ ვერ მომჯობინდა, მის ნაცვლად ალბათ მასიმო ამბროზინის ვიხილავთ.

ანდრეა პირლო: „ეს მატჩი აუცილებლად უნდა მოვიგოთ. დარწმუნებული ვარ, ძალიან გაგვჭირდება, რადგან პირველი შეხვედრა პრაღაში 0:0 დასრულდა და მეტოქეს მეოთხედფინალში გასვლის არანაკლები შანსი აქვს. ჩეხებს კარგი გუნდი ჰყავთ. განსაკუთრებით მათი კონტრშეტევებია სახიფათო. „მილანი“ ჩვეულად ითამაშებს და გოლის სწრაფად გატანას შეეცდება, მაგრამ ეს ადვილი არ იქნება. ვიცი, რომ „სპარტა“ მთელი გუნდით დაცვაში გამაგრდება და მოწინააღმდეგის გარღვევა ასეთ შემთხვევაში ერთიორად რთულდება. თუმც არა უშავს, ჩვენ მსგავს გუნდებთან თამაშს მივეჩვიეთ. ვგრძნობ, „მილანი“ ბრწყინვალე ფორმაშია და გამარჯვებათა სერია უნდა განვაგრძოთ. „სპარტასთან“ მოგებას პრინციპული მნიშვნელობა ექნება იმ მხრივაც, რომ მომავალ უქმეებზე „იუვენტუსს“ კარგი განწყობით ვესტუმროთ“.



კარლო ანჩელოტი

დაახლოებით იგივე თქვა იონ დალ ტომასონმაც: „პრაღელებთან იოლად ვერ გავისეირნებთ. ძალების სრული მობილიზაცია და კონცენტრაცია გვჭირდება, მილანში ყველა ჩამომსვლელი საკუთარ საჯარიმოში იკეტება და ამჯერადაც ასე იქნება, მაგრამ გადაჭედილი „სან სირო“ გამარჯვებაში დაგვეხმარება, აუცილებლად უნდა ვძლიოთ ჩეხებს. ჩვენ ხომ ჩემპიონთა ლიგის მოგებას ისევ ,,აპირებთ“.

ვაჟა ხუციშვილი

საკვარაუდო შემადგენლობები

მილანი

დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო, ამბროზინი, კაკა, შევჩენკო, ინძაგი

სპარტა

ბლაჟეკი, პერგლი, ჰუბშმანი, იოჰანა, ლაბანტი, პობორსკი, რადოსლავ კოვაჩი, ზელენკა, შივოკი, მიხალიკი, სტაინერი

დისკვალიფიცირებულნი

მილანი: არავინ; სპარტა: არავინ

გიყვარდეთ... როგორც ინძაგის ინტერში ვან დერ მეიდეც გაფუჭდა

გაილია სერია A-ს 24 ტური და ტრადიციისამებრ ბოლო ტურის გმირთა და ანტიგმირთა შეფასებას გთავაზობთ. შემფასებელია იტალიელი ჟურნალისტი დომენიკ ანტონიონი

ფილიპო ინძაგი

ფაბიო ბაცანი

ანდრეა პირლო (მილანი) — იგი „მილანის“ საკვანძო ფეხბურთელად ჩამოყალიბდა. დიახ, პირლო ჩვეულებრივი გამთამაშებელი აღარ არის. ის გახლავთ ცენტრალური ფიგურა გუნდისა, რომელიც ბურთს არასოდეს კარგავს. „სამპდორიას“ წინააღმდეგ მან თვალსაჩინოდ დაადასტურა ჩვენი მოსაზრება. პირლომ ჩინებული გოლი გაიტანა და ასევე ჩინებულად გაუწია ასისტენტობა კაკას. ის იტალიური ფეხბურთის საგანგებო ფიგურაა.

ფილიპო ინძაგი (მილანი) — იგი უკვე 30 წლისაა, მაგრამ მისი შემხედვარე ყველა ხვდება, რომ თამაში უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. ამის დასტური „სამპდორიას“ კარში გატანილი გოლის ზეიმი გახლდათ. თუ ტრავმებს სძლია, ინძაგისგან სეზონის დიდებულ დასრულებას უნდა ველოდოთ.

სტეფანო მაური (ბრეშა) — მაური წინა სეზონში „მოდენაში“ თამაშობდა, საიდანაც მწვრთნელს, ჯოვანი დე ბიაზის წამოჰყვა, ხოლო რატომ წამოიყვანა მწვრთნელმა, შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს. იგი გონივრული ფეხბურთის ოსტატია, შეუძლია მეტოქეს შეუტიოს, მაგრამ იმავდროულად დაცვასაც დაეხმაროს. ის სრულყოფილი ფეხბურთელია, რომელმაც „იუვენტუსის“ წინააღმდეგ ჩინებულად ითამაშა.

ფაბიო ბაცანი (სამპდორია) — „მილანის“ წინააღმდეგ მისი თამაშის შემყურე ვიღაცამ იხუმრა, ბაცანის „შავ-წითლების“ შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდაო. მთელი მატჩის განმავლობაში „მილანის“ საჯარიმოს სიახლოვეში თავდამსხმელივით კი არა, მცველივით იდგა და მიუხედავად ამისა, მოახლოებულ ზაფხულზე შეიძლება მართლაც იყიდოს „მილანმა“.

მირკო კონტე (სამპდორია) — ფილიპო ინძაგი კონტეს შესაძლოა, მართლა ღამის კოშმარად დაესიზმროს. ერთადერთი ხერხი, რომლითაც ის თავდამსხმელს აჩერებდა, წესის დარღვევა გახლდათ, ოღონდ მისდა გასაბარად მსაჯმა ტრეფოლონიმ ამ დარღვევათა დიდი უმრავლესობა უბრალოდ ვერ შეამჩნია. კიდევ, კონტემ 24-ე ტურის შეხვედრა იმიტომაც უნდა დაივიწყოს, რომ ინძაგიმ ეგრეთ წოდებულ მეორე სართულზეც პირწმინდად დაამარცხა.

ენდი ვან დერ მეიდე (ინტერი) — რვა თვის წინ ვან დერ მეიდე ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გარემარბი გახლდათ, დღეს კი „ინტერის“ სათადარიგოთა სკამზე ზის და ზის. მართალია, იგი „რომასთან“ შეხვედრაში მოედანს მხოლოდ რამდენიმე წუთით გააკარეს, მაგრამ ეს რამდენიმე წუთიც სრულიად საკმარისი გამოდგა, რათა მაყურებელს გადაღლილი, მოტეხილი და დაბერებული მოჩვენებოდა. ალბათ, ის გახლავთ ბოლო, ვისაც „ინტერის“ სნეულება გადაედო.

პაპუნა კედია

ჯანეტ დიკოვი

კელი მაგური

ნიკოლა უელიანსი

ბოზი დედა და ჩასვრილი ბავშვები

29 წლის ჯანეტ დიკოვი გაოგნდა: მისი საყვარელი ქმარი პოლი, სამი ქალიდან ერთის გაუპატიურების შემდეგ ყველას მოკვლით დამუქრებია. ერთი სიტყვით, საბრალო ჯანეტი დაპატიმრებული ქმრის სანახავად ესპანეთში კი ჩაფრინდა, მაგრამ როგორც ამბობენ, აღარ შეხვდა. მისთვის ამ მუქარის ამბავი უკვე მეტისმეტი იყოო. არადა, ისედაც დაზაფრული ქალი შინიდან იმიტომ აყრილა, რომ მეუღლეს სან ხორენას ციხიდან დაურეკავს და მათ შორის მეტისმეტად ემოციური საუბარი გამართულა

ცნობისთვის: ჯანეტ დიკოვს სექსუალური აგრესორი ქმრისგან სამი შვილი ჰყავს. ისინი ოთხი წელიწადია ცოლ-ქმარი არიან, მანამდე კი, ალბათ ბოიფრენდ-გელფრენდი იყვნენ, თორემ მხოლოდ ოთხ წელიწადში ამდენ შვილს როგორ მოასწრებდნენ.

ჯანეტი ლუტონის აეროპორტიდან ორშაბათს გაეშურა ესპანეთს, სადაც ღამე სწორედ იმ სასტუმროში გაათენა, რომელშიც მისმა მეუღლემ ერთი ხნის წინ „მოულხინა“.

დიკოვების ოჯახთან დაახლოებულმა მავანმა ადამიანმა კი გაზეთ „სანს“ განუცხადა, რომ როგორც კი ესპანეთში დატრიალებული ამბის შესახებ ცნობა მსოფლიოს მოედო და პოლის მეუღლემდეც მივიდა, მან იგრძნო, რომ ქმრის ნახვა სჭირდებოდა. ერთი სიტყვით, ფაქტი ერთია, ინტერპრეტაცია მრავალნაირი.

შეგახსენებთ, რომ პოლ დიკოვთან ერთად სან ხორენას ციხეში სხედან მისებრ ეჭვმიტანილნი ფრენკ სინკლერი და კეიტ გილესპი, რომელთა თანამეცხედრენი სამი შვილის დედაზე ადრე გაეშურნენ ესპანეთს. 34 წლის ნიკოლა უელიანსი და კელი მაგური ინგლისიდან შაბათ-კვირას აიყარნენ. პირველი სინკლერის საცოლე გახლავთ, ხოლო მეორე გილესპის მეგობარი გოგონა — გელფრენდი.

თუმცა, ვატყობთ შევცდით. როგორც ჩანს, იმდენად გვწამს, რომ ამ ისტორიის შესახებ ყველამ ყველაფერი იცის, არც კი გავიმეორეთ რა დანაშაულზეა ლაპარაკი და ვინ არიან დაკავებულები.

ისე, საქმე მართლა ძალიან გახმაურებულია, რადგან ინგლისური პრემიერლიგის გუნდის, „ლესტერ სიტის“ მოთამაშეებს ეხება. მოგახსენებთ: ლესტერელებმა თავისუფალი დრო გამონახეს და ერთკვირიან შეკრებაზე ესპანეთს გაემართნენ, მაგრამ იქ ფეხბურთში ვარჯიშის გარდა, „სხვა ტიპის საქმიანობაც“ იტვირთეს და როდესაც გადაამლაშეს, მთელი ცხრაკაციანი ჯგუფით თავი მურსიის პოლიციაში ამოყვეს. შემდეგ, როდესაც ესპანელი პოლიციელები ვითარებაში გაერკვნენ და სამ დაზარალებულს, ანუ გაუპატიურებულებს დაკავებულები აჩვენეს, ექვსი ფეხბურთელი გაუშვეს, ზემოხსენებული სამი კი სანხორენას ციხეში დაიტოვეს, სადაც, როგორც ამბობენ, ძალიან ცხელა, საძაგელი სუნია და მკვლელები და ტერორისტებიც სხედან. ინგლისელ ფეხბურთელებს გაუმართლათ, რომ ჯერჯერობით ცალკე საკანში ჰყავთ ჩაკეტილი.

ტრევორ სინკლერი ასეთ საქციელში შემჩნეული ყოფილა

ამასობაში კი დაზარალებულთა ვექილი, ან თუ გნებავთ წარმომადგენელი, ქალბატონი ენკარნასიონ გომესი გამძვინვარდა:

„ჩემი კლიენტები არც მეძავები არიან და არც ერთ მათგანს არ ჰქონია ოდესმე სქესობრივი ურთიერთობა ამ ფეხბურთელთაგან რომელიმესთან“.

თუმცა სინიორა გომესის თქმით, გაუპატიურებულთაგან ერთ-ერთი ორი შვილის დედაა და მისი მეზობლის ინფორმაციით, ხშირად უხდება ქალ-ვაჟის მარტო დატოვება თვეობითაც კი. მისი შვილები 14 და 10 წლისანი არიან (გამოდის, რომ დაზარალებული იმაზე უფროსია, ვიდრე თავიდან გვეუბნებოდნენ) და ამჟამადაც მარტონი დარჩნენ, რამეთუ დედა ესპანეთში დაკითხვებზეა. პლუს გაირკვა, რომ ქალი წარმოშობით კენიელია, ხოლო ქმარი გერმანელი ჰყავს და ამ დღეებში მის კვალს ვერ მიაგნეს. კაცი 36 წლისაა და „ფორდის“ ქარხნის მუშა ყოფილა, ოღონდ შვილები, რომლებზეც ზემოთ ვთქვით, თურმე მისი არ არიან. გაუპატიურებულ კენიელს და გერმანელ ქმარს ხუთი წლის წინ უქორწინიათ. როგორც ირკვევა, ქმარმა ცოლი აფრიკაში შვებულების დროს გაიცნო.

ბავშვები გუშინ არც კარს აღებდნენ და არც სატელეფონო ზარს ეხმაურებოდნენ, თუმცა ფაქტია, უფროს ძმას თავისი და სკოლაში დაჰყავს. ამბობენ, რომ ბავშვები დეიდასთან ცხოვრობენ.

პაპუნა კედია

გერმანია

მეორე ბუნდესლიგა XXIII ტური

დუისბურგი 2:1 ალემანია

0:1 პფლიპსენი (15), 1:1 აპანფუფი (46), 2:1 ბცლუმი (57)

კოტბუსი	23	12	5	6	38:30	41
ნიურნბერგი	23	11	7	5	42:28	40
ობერჰაუზენი	22	11	5	6	36:29	38
ალემანია	23	10	5	8	34:34	35
მაინცი	22	8	10	4	32:25	34
არმინია	23	9	6	8	32:26	33
კარლსრუე	23	9	6	8	25:27	33
დუისბურგი	23	8	8	7	34:30	32
ბურგჰაუზენი	22	8	7	7	29:24	31
უნტერჰახინგი	23	8	6	9	30:31	30
რეგენსბურგი	23	7	9	7	29:31	30
ლიუბეკი	23	7	8	8	34:36	29
უნიონი	23	7	6	10	28:28	27
ტრირი	23	7	6	10	28:37	27
ფიურტი	23	5	11	7	37:37	26
აუე	23	6	8	9	22:28	26
ალენი	22	6	4	12	20:33	22
ოსნაბრიუკი	23	5	5	13	21:37	20

პორტუგალია

სუპერლიგა. XXV ტური

რიუ ავე 0:0 ბრაგა

პორტუ	25	20	5	0	56:15	65
სპორტინგი	25	18	4	3	47:23	58
ბენფიკა	25	15	6	4	48:25	51
ნასიონალი	25	12	4	9	43:28	40
ბრაგა	25	11	7	7	24:26	40
მარიტიმუ	25	9	11	5	27:23	38
ბოავიშტა	25	9	10	6	24:20	37
ბეირა მარი	25	10	6	9	34:33	36
რიუ ავე	25	8	10	7	28:23	34
მორეირენსე	25	7	9	9	20:27	30
ალვერკა	25	8	5	12	28:31	29
ჟილ ვისენტე	25	6	10	9	34:32	28
ლეირია	25	6	8	11	29:39	26
ბელენენსეში	25	5	9	11	28:47	24
აკადემიკა	25	6	4	15	23:31	22
გიმარაეში	25	4	9	12	23:34	21
ფერეირა	25	6	3	16	18:39	21
ამადორა	25	3	4	18	17:55	13

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XX ტური

ბანიკი 0:0 ჟიჟკოვი

ბანიკი	20	12	7	1	42:16	43
სლავია	20	11	4	5	26:11	37
სპარტა	20	9	8	3	33:17	35
სიგმა	20	9	6	5	30:16	33
ზლინი	19	9	3	7	22:20	30
ბუდეიოვიცე	20	8	5	7	24:24	29
სინოტი	20	8	5	7	27:29	29
ლიბერეცი	19	7	6	6	18:16	27
ტეპლიცე	19	6	7	6	19:19	25
ბრნო	20	6	7	7	21:25	25
პრჟიბრამი	20	6	5	9	24:23	23
იაბლონეცი	20	4	10	6	16:23	22
ოპავა	19	6	3	10	24:37	21
ჟიჟკოვი	20	4	5	11	10:23	17
პლზენი	19	3	6	10	13:30	15
ბლშანი	19	4	3	12	19:39	15

ბრაზილია მთაში გაუშვეს

კოპამ მექსიკა და კოსტა რიკა გადაიპატიჟა

ნორბერტო ალონსომ არგენტინას ურუგვაი ამოუღო

კოპა ამერიკა 2004
პერუ. 6 — 25 ივლისი

A ჯგუფი

პერუ, კოლუმბია, ვენესუელა, ბოლივია

6 ივლისი	ლიმა	ვენესუელა — კოლუმბია
6 ივლისი	ლიმა	პერუ — ბოლივია
9 ივლისი	ლიმა	პერუ — ვენესუელა
9 ივლისი	ლიმა	კოლუმბია — ბოლივია
12 ივლისი	ტრუხილიო	პერუ — კოლუმბია
12 ივლისი	ტრუხილიო	ვენესუელა — ბოლივია

B ჯგუფი

არგენტინა, ურუგვაი, მექსიკა, ეკვადორი

7 ივლისი	ჩიკლაიო	მექსიკა — ურუგვაი
7 ივლისი	ჩიკლაიო	არგენტინა — ეკვადორი
10 ივლისი	ჩიკლაიო	არგენტინა — მექსიკა
10 ივლისი	ჩიკლაიო	ეკვადორი — ურუგვაი
13 ივლისი	პიურა	არგენტინა — ურუგვაი
13 ივლისი	პიურა	მექსიკა — ეკვადორი

C ჯგუფი

ბრაზილია, პარაგვაი, კოსტა რიკა, ჩილე

8 ივლისი	არეკიპა	ბრაზილია — ჩილე
8 ივლისი	არეკიპა	კოსტა რიკა — პარაგვაი
11 ივლისი	არეკიპა	ბრაზილია — კოსტა რიკა
11 ივლისი	არეკიპა	პარაგვაი — ჩილე
14 ივლისი	არეკიპა	ბრაზილია — პარაგვაი
14 ივლისი	ტასნა	კოსტა რიკა — ჩილე

კოპა ამერიკა პერუში რომ გაიმართებოდა, ადრევე ცნობილი იყო, გუშინწინ კი წილისყრა მოეწყო და თორმეტი გუნდი სამ ჯგუფში გაანაწილეს.

ბრაზილია, არგენტინა და მასპინძელთა ნაკრები თავიდანვე განთესეს. შედეგად პერუელებს წინა გათამაშების გამარჯვებული კოლუმბია და ორი საკმაოდ სუსტი მეტოქე — ვენესუელა და ბოლივია ერგოთ. აქვე 2001 წლის კოპა ამერიკა გავიხსენოთ, რომელშიც არგენტინას მონაწილეობა არ მიუღია. მაშინ კოლუმბიაში თოფიანობა იყო და არგენტინელებმა ჩასვლა იუარეს, ისევე როგორც სტუმრის სტატუსით მიწვეულმა კანადელებმა.

ამ ორი ქვეყნის ადგილი კოსტა რიკამ და ჰონდურასმა დაიკავა. ამჯერად მიწვეულთა შორის მექსიკა და კოსტა რიკა არიან.

კოპა ამერიკა წესით 6 ივლისს უნდა დაიწყოს და 25-ში დამთავრდეს, მაგრამ სამხრეთელთა თავქარიანობის გამო არ არის გამორიცხული, კალენდარი შეიცვალოს.

არგენტინა ჯგუფში ძირძველ მეტოქე ურუგვაისთან მოხვდა. წილისყრის დროს ბურთულა, რომელშიც „ურუგვაი" ინახებოდა, 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონმა, არგენტინელმა ნორბერტო ალონსომ ამოიღო.

ბრაზილიელებს კიდევ ერთხელ მოუწევთ კოსტარიკელთა მოსინჯვა, რომლებსაც მსოფლიოს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე შეხვდნენ. აღსანიშნავია, რომ C ჯგუფის გუნდები 5 მატჩს ქალაქ არეკუიპაში, ზღვის დონიდან 2 300 მეტრ სიმაღლეზე გამართავენ.

ჯგუფური ეტაპი 14 ივლისს დამთავრდება. შემდეგ პირველ-მეორე ადგილოსნებს ორი საუკეთესო მესამეადგილოსანი შეუერთდება და მეოთხედფინალისტებიც დაწყვილდებიან. ფინალი 25 ივლისს ლიმაში გაიმართება.

ვაჟა ხუციშვილი

აი, რა მიქნა ედმუნდო!

ცოლმა ქმრის საყვარელს ქმრისავე ფული მოუგო

ედმუნდოს გაუთავებელ სკანდალებსა და ტრაგიკულ თავგადასავლებზე იმდენი თქმულა და დაწერილა, სქელტანიანი ტომი შეიკვრება. მაგრამ „მხეცი" აქამდე გარეთ თუ ეძებდა შარს, ახლა შინაც აურია და საქმე იქამდე მივიდა, მისმა მეორე ნახევარმა სასამართლოს ძალით მოითხოვა, ეგ მართლა მხეცი ახლოს არ გამეკაროსო

ედმუნდოს ცოლმა ადრიანამ არგუმენტად დალილავებული ადგილები გამოაჩინა, აი, ასე მცემსო. მათ ბოლოს იმაზე უჩხუბით, რომ სახლში გამთენიისას მისული ედმუნდოსთვის ადრიანას უკითხავს, აქამდე სად დაეთრეოდიო, ფეხბურთელს კი გემრიელად დაუჟეჟია, აქაოდა, საყვარლებთან თუ ვიყავი, ეგ შენი საქმე არ არისო.

ამ ჩხუბის მერე ედმუნდო სხვა სახლში — რიოს უბანია, ტიჟუკა — იქ გადაბარგდა.

ადრიანამ, როგორც თავში მოგახსენეთ, სასამართლოში იჩივლა და ექიმებთანაც გაშიშვლდა, დალურჯებული ადგილები კარგად დაათვალიერეთო.

თუმცა ცოტა ხანში ადრიანას ქმარზე გული მობრუნებია და სასამართლოში საჩივრის გამოსატანად მივიდა, იქ კი უთხრეს, ცემის ფაქტებზე საქმეს მსვლელობა არ მიეცეს, კანონით არ შეიძლება, აწი შენ აღარავინ გეკითხებაო.

თანაც ეს ედმუნდოსთვის ცემის პირველი ფაქტი არ არის და გამოძიება საქმეს ვერ მიაფუჩეჩებს. ამბობენ, ცოლის ცემა ედმუნდოს სამიდან 12 თვემდე ციხედ დაუჯდებაო.

მეორე მხრივ, გასაკვირი არ იქნება, ფეხბურთელი ამჯერადაც მშრალად გამოვიდეს — აკი, ცხრა წლის წინ მთვრალმა ავარიაში სამი კაცი შეიწირა და გაქნილი ადვოკატების წყალობით, ვერაფერი მოუხერხეს. ჰოდა, ერთ-ორ ჩალურჯებულ ადგილს იგივე ადვოკატები ალბათ უფრო იოლად მიხედავენ.

ისე, გარე-გარე სიარული ბრაზილიაში ჩვეულებრივი ამბავია. ედმუნდოც, აგერ რამდენი წელია, ფაქტობრივად, ორ ოჯახად ცხოვრობს. ადრიანასთან მას ორი შვილი, 5 წლის ანა კაროლინა და ერთი წლის ედმუნდო-უმცროსი ჰყავს. გარდა მისა, ედმუნდო უკვე ბევრი წელია, მოდელ კრისტინა მორტაგუასთან დაიარება, ვისგანაც ექვსი წლის ალეშანდრე ჰყავს.

ამ ისტორიაში ყველაზე სასაცილო თუ სატირალი ის არის, რომ ქალები ერთმანეთს სასამართლოშიც კი შეხდნენ და საქმე გაარჩიეს. ასე იყო: კრისტინამ ერთხელ თქვა, ადრიანა ედმუნდოს ფულის გამო გაჰყვა, მე კი სიყვარულით ვეძლევიო. ადრიანამ ქმრის საყვარელს ამ სიტყვების გამო უჩივლა და მორალური კომპენსაციის სახით 54 ათასი რიალიც აართვა. ეს კი ნაღდად სასაცილოა — ის 54 ათასი კრისტინამ ედმუნდოს გამოართვა.

ადრიანა თავის შვილებს ნახევარძმა ალეშანდრესთან არათუ ურთიერთობას უკრძალავს, ბავშვები საერთოდ არ იცნობენ ერთმანეთს.

კოტე კეკელია



ედმუნდოს გული კრისტინასკენ მიუწევს

იგრძენით განსხვავება?
ბენიტესს კუპერობა არ უნდა

ექტორ რაულ კუპერმა „ვალენსია“ რომ დატოვა, გულშემატკივრები არგენტინელზე უფრო სახელოვანი კაცის მისვლას ელოდნენ. კუპერი ურიგო მწვრთნელი არ იყო, მაგრამ მას მარად მეორის იარლიყი მიაკერეს, რადგან ზედიზედ ორჯერ ჩემპიონთა ლიგის ფინალში დამარცხდა. ქომაგები გაოცდნენ, როცა არგენტინელის სკამი უსახელო რაფაელ ბენიტესმა დაიკავა, თუმც მალე დარწმუნდნენ მის ნიჭში

ეროვნული ბიბლიოთეკა
რაფაელ ბენიტესი

მწვრთნელზე მსჯელობა ადვილია, თუ მის წარსულს გადავამოწმებთ და მონაგარს დავუთვლით. ამ მაჩვენებლით რაფაელ ბენიტესი საშუალო დონის სპეციალისტია. თავად განსაჯეთ: იგი თავიდან მადრიდის „რეალის“ ფარმკლუბ „კასტილიაში“ (1986-1989) მუშაობდა, ამავდროულად კი რეალელთა ახალგაზრდებს და დუბლშემადგენლობას ავარჯიშებდა. მხოლოდ ერთი სეზონის (1993-1994) განმავლობაში გვერდში ედგა ვისენტე დელ ბოსკეს, რომელიც „სამეფო კლუბის“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწე გახლდათ.

რაფაელ ბენიტესმა დამოუკიდებლად მუშაობა 1995 წელს პრიმერადივიზიონის „ვალიადოლიდში“ დაიწყო, მაგრამ გუნდი მე-16 ადგილს ვერ ასცდა და თავკაცი დაითხოვეს.

მომდევნო ორი წელი ბენიტესმა სეგუნდედივიზიონის „ოსასუნაში“ გაატარა. შემდეგ ალმენდრალეხოს „ესტრემადურა“ ჩაიბარა და პირველივე ცდაზე პრიმერადივიზიონში გადაიყვანა. ელიტაში მწვრთნელს საქმე არ აეწყო. როგორც კი მის თავზე შავი ღრუბლები შეიყარა, გუნდი მიატოვა და სეგუნდელ „ტენერიფეში“ გადაიხვეწა. კუნძულელები „ესტრემადურას“ ბედს აზიარა — პრიმერადივიზიონში აიყვანა და იქიდან „ვალენსიაში“ აღმოჩნდა.

ფეხბურთელობისას რაფაელ ბენიტესი მადრიდის „რეალში“ (1973-1981) ირიცხებოდა, მაგრამ ძირთიად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა. მადრიდიდან მესამე დივიზიონის „პარლაში“ გადავიდა და იქ ოთხი სეზონი დაჰყო. მერე ერთი წელი „ლინარესში“ გაატარა, 1986-ში კი ბურთაობას თავი დაანება და სამწვრთნელო სწავლა-განათლება დაიწყო.

ფიზკულტურის ეროვნული ინსტიტუტისა და მადრიდის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ადრევე აღებულ დიპლომებს მან 1989 წელს მწვრთნელის ლიცენზია მიუმატა, მოგვიანებით კი ამერიკის დევისის უნივერსიტეტში „სოკერის პროფესორის“ წოდებაც მიიღო.

ბენიტესს ჟურნალისტად და კომენტატორადაც უმუშავია. 1996-1997 წლებში პრიმერადივიზიონის მატჩები მიჰყავდა, 2000-ში კი „ევროსპორტზე“ ევროპის ჩემპიონატის მატჩებს მიმოიხილავდა. ალბათ ასეთი პრაქტიკის დამსახურებაა, რომ ბენიტესი მასმედიასთან ურთიერთობაში გამორჩეულია კაცია.

„ვალენსიაში“ მისვლის დღიდან ქომაგებს არ სწამდათ, რომ ახალი, უსახელო მწვრთნელი ექტორ კუპერზე მეტს შეძლებდა. „მესტალიაზე“ ექვსთვიანი მუშაობის შემდეგ მან გულშემატკივრები ასეთი ამბიციური განცხადებით გააოცა: „მე ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და სანამ ძალაშია, გპირდებით, ნებისმიერ ტურნირში მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბძოლებთ და ერთ-ერთს აუცილებლად მოვიგებთ.“ ამ განცხადებიდან 95 დღეში „ვალენსიამ“ 21 შესაძლებლიდან 17 ქულა მოაქუჩა და პრიმერადივიზიონი მოიგო.

„მე იმ ტაქტიკურ სქემას ვეტრფი, რომლითაც არიგო საკის „მილანი“ თამაშობდა — თქვა ბენიტესმა — მომწონს ტექნიკური და იმავდროულად აგრესიული გუნდები, რომლებიც მოწინააღმდეგეს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევენ და ორი-სამი პასით ბურთი მეტოქის კარამდე მიაქვთ. იდეალური იქნებოდა გუნდი იტალიური დაცვით და ესპანური შემტევებით.“

შეიძლება ითქვას, რომ რაფაელ ბენიტესმა თავისი იდეების განხორციელება მეტ-ნაკლებად შეძლო. იგი გუნდს 4-2-3-1 სქემით ათამაშებს. ამ შემთხვევაში თითქოს მეტოქესთვის ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ათივე ფეხბურთელს ნებისმიერ პოზიციაზე მორგება ძალუძს. მაგალითად, რუბენ ბარახა ხშირად ერთვები შეტევებში, მიგელ ანხელ ანგულო კი ნახევარმცველიდან, ფაქტობრივად, თავდამსხმელად იქცა.

ბენიტესმა როტაციის პრინციპიც კარგად გამოიყენა. იგი ტურიდან ტურამდე საფუძვლიანად ცვლიდა შემადგენლობას, თამაშის სტილი კი იგივე რჩებოდა.

თვით ყველაზე გამორჩეულ მოთამაშეს, ვალენსიელთა ჯილა პაბლო ჰიმარსაც უწევდა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა, მაგრამ გუნდი მაინც იგებდა.

რაფაელ ბენიტესი თამაშს ვარსკვლავებზე არ აწყობს. ეს მაშინ გამოჩნდა, როცა 2000-2001 წლების სეზონის დასაწყისში გაისკა მენდიეტა წავიდა და „ვალენსიაში“ ექვსი ნაკლებად ცნობილი ყმაწვილკაცი მივიდა. ორი მათგანი — ვისენტე და მარჩენა ახლა ნაკრების წევრები არიან.

„მე მომხრე ვარ, რომ თვალებანთებულ ახალგაზრდებს შანსი მისცენ — თქვა მწვრთნელმა — კლუბს „რეალისა“ და „ბარსელონას“ მსგავსად ვარსკვლავბიჭების შეძენის საშუალება არ აქვს. ამიტომ ვცდილობ, ნიჭიერი ბიჭები აღმოვაჩინო. ამიტომაც, ვიყიდეთ ბრაზილიელი რიკარდო ოლივეირა და მისტა.“

როცა აქცენტს ახალგაზრდებზე აკეთებ, ზედიზედ ორ მატჩში ფრის გამო არავინ მოგხსნის, თუმც გამარჯვებისთვის გაცილებით მეტი შრომაა საჭირო. ამიტომაცაა, რომ მეტოქეებს „ვალენსიასთან“ განსაკუთრებით უჭირთ. ვალენსიელი ყმაწვილები მოწინააღმდეგეს მთელ მოედანზე დასდევენ და ბურთის თავისუფლად მიღების საშუალებას არ აძლევენ. მათთვის მთავარი არგაშვებაა და ამის გამო ბენიტესს ხშირად აკრიტიკებენ, თუმც მწვრთნელმა წინამორბედ ექტორ კუპერისგან თავი შორს დაიჭირა: „კუპერი განათლებული და მცოდნე კაცია, მაგრამ ჩვენი საფეხბურთო შეხედულებები განსხვავდება. დაცვა მისი სტიქიაა და ამით ცდილობდა შედეგის მიღწევას, მაგრამ იღბალი აკლდა. მე გუნდში მენტალიტეტი შევცვალე. არგენტინელის დროს „ვალენსია“ მეტოქეს ერგებოდა, ახლა კი ჩემი ბიჭები შეტევაში და დაცვაში ერთნაირად აგრესიულები არიან. შეიძლება ითქვას, მათ ბურთიანად 10-15 მეტრით წინ წაიწიეს.“

ასეა თუ ისე, „ვალენსია“ ბენიტესის ხელში ჩემპიონი გახდა, მაგრამ ქომაგები მას „კუპერობას“ აბრალებდნენ. რაფას პასუხი ამ ბრალდებაზე: „შესაძლოა მსგავსება იყოს, მაგრამ მოსვლის დღიდან ფეხბურთელებს შეტევაში აქტიურად თამაში მოვთხოვე. ისინი მეტოქის შეცდომებს კი არ უნდა ელოდონ, როგორც კუპერის დროს, არამედ თვითონ შექმნან მომენტები მოწინააღმდეგის კართან. დანარჩენი ალბათ ძველებურად იგივე დარჩა. ჰო, კინაღამ დამავიწყდა — არგენტინელის დროინდელი „ვალენსიისგან“ განსხვავებით, ახლა გუნდი ჩემპიონია.“

რაფაელ ბენიტესმა კლუბთან კონტრაქტი 2005 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა, შემდეგ კი მას უცხოეთში ძალების მოსინჯვა სურს: „ინგლისურ და იტალიურ გუნდებში მუშაობა ალბათ უფრო იოლი იქნება, ვიდრე მადრიდის „რეალის“ გაწვრთნა. მადრიდელთაგან ყოველთვის გამარჯვებას ითხოვენ და „რეალის“ მწვრთნელმა ყოველდღე უნდა იფიქროს, როგორ შეინარჩუნოს ადგილი. ჯერჯერობით ვალენსიაში თავს კარგად ვგრძნობ და სხვა გუნდში წასვლას თუ გადავწყვეტ, ალბათ პრემიერლიგაში ან სერია A-ში.“

ვაჟა ხუციშვილი

ბედის ირონია ანუ ლინენი
ჰანოვერს დისციპლინა დაუნიშნეს

„ჰანოვერის“ უფროსობამ წინა უქმეებზე გაშვებულ რალფ რანგნიკს შემცვლელი მოუძებნა — მომდევნო სეზონნახევრით გუნდს ევალდ ლინენი გაწვრთნის.

შაბათს „გლადბახთან“ მარცხის მერე „ჰანოვერი“ ბუნდესლიგის ცხრილში მე-15 ადგილზე ჩაცოცდა და რანგიკიც შეიწირა. საერთოდ კი, ჰანოვერელებს ბოლო ხუთი მატჩი არ მოუგიათ.

ლინენი 50 წლისაა და სასტიკი დისციპლინის მოყვარულ მწვრთნელად ითვლება. მას „დუისბურგში“, „ჰანზასა“ და „კოლნში“ უმუშავია. პირველი ჰანოვერული გამოცდა კი ლიენენს მისებრ გაჭირვებულ და ცხრილში მეზობელ „ლაუტერნთან“ ელის.

და ერთიც, ბედის ირონია თუ არის, რომ ლინენი ბოლოს „გლადბახში“ მუშაობდა და სექტემბერში სწორედ „ჰანოვერთან“ მარცხის გამო მოხსნეს.

ახალი სამუშაო მას „გლადბახისგან“ „ჰანოვერს“ დაჩაგვრამ აპოვნინა. „ჰანოვერი“ კი მეშვიდე ბუნდესლიგური გუნდია, ამ სეზონში მწვრთნელი რომ შეიცვალა.

ირაკლი ნინიძე

ევალდ ლინენი

იტალია

სერია B. XXXI ტური

ასკოლი 0:0 ბარი

ტერნანა 1:1 კალიარი

1:0 ბორგობელო (40), 1:1 ბიანკი (61)

პალერმო	31	14	12	5	44:27	54
ატალანტა	31	13	14	4	40:26	53
კალიარი	31	13	11	7	53:34	50
ლივორნო	31	12	14	5	39:27	50
მესინა	31	12	13	6	43:32	49
ტერნანა	31	13	10	8	43:34	49
პიაჩენცა	30	13	10	7	32:25	49
ტორინო	31	12	10	9	43:34	46
ტრიესტინა	31	10	13	8	40:39	43
კატანია	31	11	9	11	36:33	42
ფიორენტინა	31	9	14	8	33:37	41
ვიჩენცა	31	9	13	9	34:32	40
ნაპოლი	31	7	18	6	25:28	39
ვერონა	31	9	11	11	39:41	38
სალერნიტანა	30	10	8	12	26:30	38
ალბინოლეფე	31	10	8	13	30:40	38
ტრევიზო	31	8	13	10	29:31	37
ასკოლი	31	8	12	11	34:37	36
პესკარა	31	8	10	13	24:38	34
ვენეცია	31	7	12	12	25:33	33
ჯენოა	31	7	12	12	28:38	33
ბარი	31	7	10	14	31:41	31
კომო	31	7	10	14	25:37	31
აველინო	31	2	13	16	26:48	19

საფრანგეთი

II დივიზიონი. XXVII ტური

ლავალი 0:0 ისტრი

ისტრი	27	15	7	5	31:12	52
სენტ ეტიენი	26	15	3	8	30:23	48
კაენი	27	12	10	5	35:23	46
ამიენი	27	13	6	8	29:23	45
ლორიანი	27	12	6	9	41:29	42
ნიორი	26	11	9	6	36:29	42
ნანსი	27	10	11	6	33:23	41
სედანი	27	10	11	6	24:21	41
ლე ავრი	27	11	7	9	31:31	40
შატორუ	27	10	8	9	33:32	38
ტრუა	26	9	10	7	28:28	37
კრეტეი	27	8	10	9	31:33	34
კლერმონი	27	7	11	9	29:40	32
გრენობლი	27	6	11	10	22:26	29
ვალანსი	27	6	9	12	29:38	27
ლავალი	27	5	11	11	34:41	26
ბეზანსონი	26	5	10	11	24:31	25
ანჟე	27	4	11	12	21:32	23
გენიონი	27	4	11	12	22:35	23
რუანი	27	4	10	13	23:36	22

შოტლანდია

ასოციაციის თასი

ნახევარფინალის წილისყრა

ინვერნესი — დანფერმლაინი

აბერდინი ან ლივინგსტონი— სელტიკი

მატჩები გაიმართება 10-11 აპრილს

ლევან მელქაძე:
შუშაკს ჩემზე აზრი არ შეუცვლია
რაღაც უნდა გავაკეთოთ, ეს ხომ დინამოა!

საშუასეზონოდ თბილისის „დინამოში" ფეხბურთელები წავიდნენ და მოვიდნენ და ჩემპიონატის მეორე ეტაპზეც ივო შუშაკის გუნდის თამაშში ალბათ გარკვეულ სიახლეებსაც აღმოვაჩენთ. ლევან მელქაძე კი „დინამოში" „ვიტ ჯორჯიადან" სეზონის დაწყების წინ მივიდა და შეიძლება ითქვას, რომ თავისი სიტყვა „დინამოში" ჯერ არ უთქვამს, რასაც მისგან ახლა ელიან — კულუარული ინფორმაციით, მელქაძეში „დინამოს" 350 000 დოლარი აქვს გადახდილი „ვიტ ჯორჯიასთვის"

ლევან მელქაძე „დინამოს" ძირითადში დასამკვიდრებლად იბრძვის

— როგორ ფიქრობ, შარშანდელი ზაფხული „დინამოში" გადასასვლელად შენთვის საუკეთესო დრო იყო?

— სეზონის დამთავრების მერე „ვიტ ჯორჯიაში" ინტერტოტოს თასზეც ვითამაშე და „დინამოში" რომ მოვედი, ცოტა გადაღლილი ვიყავი.

— **სწორედ დაღლას ვგულისხმობდით — შარშან ვერც ზამთარში დაისვენე სრულფასოვნად...**

— ეგრეა, მაშინ „როსტოვში" ვიყავი გასინჯვაზე და დასვენებაც ვერ მოვასწარი. შარშანწინდელ ზაფხულშიც ინტერტოტოზე ვითამაშე. მოკლედ, ყველაფერი ერთმანეთს მიეწყო და ამან მართლაც შემიშალა ხელი.

— **დინამოელობა განსაკუთრებული რამაა — სხვა გუნდიდან იქ გადასული ფეხბურთელისთვის ძნელია უცბად დამკვიდრება „დინამოში"?**

— საერთოდ, როცა გუნდიდან გუნდში გადადიხარ, ამას თავისი სირთულეები მოჰყვება, „დინამოში" კი მით უმეტეს. თუმც „ვიტ ჯორჯიადან" გადასულმა „დინამოში" სეზონის პირველივე მატჩი ვითამაშე სასტარტოში „ტირანასთან", მაგრამ მოგვიანებით სხვანაირად წავიდა ჩემი საქმეები.

— **სასტარტოში ვეღარ ხვდებოდი — ყველაზე უფრო რით იყო ეს განპირობებული?**

— „დინამოში" პირველივე ხუთი მატჩი სასტარტოში ვიყავი, მაგრამ მერე წელის ტრავმა მივიღე, ერთი კვირა გამიცდა და ცოტა არ იყოს, ფორმიდან ამოვვარდი. ამასობაში ივო შუშაკმა სასტარტოში სანდრო იაშვილი დააყენა, რომელმაც თავი გამოიჩინა და...

— **და „დინამოში" ყველფერი მკაცრადაა — თუ თამაში ჩააგდე, ან ფორმიდან ამოვარდი, შენს ადგილს მყისვე სხვა იკავებს.**

— „დინამოში" მართლაც მეტი პასუხისმგებლობაა და მოთხოვნებიც უფრო მაღალია: ამ გუნდში სხვაზე უკეთესი პირობებია და შენც ბოლომდე უნდა დაიხარჯო.

— **„ვიტ ჯორჯიადან" ადრეც გადასულხარ სხვა გუნდში — იტალიურ „სიენაში" რომ ვერ მოიკიდე ფეხი, რისი ბრალი იყო?**

— ვფიქრობ, „სიენაში" ჩემი წასვლა ნაადრევი არ იყო, მაგრამ პირველივე „ვერონასთან" თამაშში გამაძევეს, არადა, ყვითელი ბარათის მეტს ნაღდად არ ვიმსახურებდი. ამის შემდეგ „სიენას" მწვრთნელი ჯუზეპე პაპადოპულო აღარ მენდობოდა.

— **„სიენა"-„ვიტ ჯორჯია"-„დინამო" — როგორ ფიქრობ, ეს პერიოდი შენთვის გაცდენილად შეიძლება ჩაითვალოს?**

— „დინამოში" შეცვლებზე სისტემატურად კი ვთამაშობ, მაგრამ ძირითადში მსურს დამკვიდრება. „ვიტ ჯორჯიაში" კი სულ ვთამაშობდი და ამასთან შედარებით „დინამოში" და „სიენაში" გატარებულ დროს ალბათ მართლაც გაცდენა ჰქვია.

— **შუშაკი ყოველთვის გაქებდა და ეს ალბათ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო შენი „დინამოში" ტრანსფერისთვის — როგორ ატყობ, შუშაკს მელქაძეზე აზრი ხომ არ შეუცვლია?**

— ამასწინანდელ შეკრებაზე შუშაკი თავდამსხმაში მე და იაშვილს გვაყენებდა სასტარტოში, ახლა ახალაია-იაშვილს ამჯობინებს, მაგრამ, ვფიქრობ, ჩემზე აზრი არ შეუცვლია. და საერთოდ, შუშაკი კარგი პიროვნებაა, ფეხბურთის მიღმაც თბილი ადამიანია.

— **გასაგებია, მაგრამ ხომ არ ფიქრობ იმაზე, რომ ერთხელაც წახვიდე უცხოეთში სათამაშოდ?**

— უფრო მეტზე კი ვფიქრობ, მაგრამ ჯერ „დინამოს" სასტარტოში უნდა მოვიპოვო ადგილი. ამ დროისთვის მართლაც მეტისთვის უნდა მიმეღწია, მაგრამ ტრავმებმა შემიშალა ხელი, სხვა ხელისშემშლელი ფაქტორი არ ყოფილა.

— **დიდი შანსია, ამ სეზონში პირველად გახდე საქართველოს ჩემპიონი...**

— მეორე ეტაპზე ძალიან დაძაბული თამაშები გველის, მაგრამ ჩემპიონი ალბათ წლეულსაც „დინამო" გახდება.

— **„დინამოს" მეტოქეებიდან რომელ გუნდებს გამოარჩევდი?**

— ჩვენი მთავარი მეტოქე „ვიტ ჯორჯია" იქნება, გამოვარჩევდი „ლოკომოტივსაც", მაგრამ ის ახლადშექმნილი გუნდია.

— **ამ შემადგენლობით „დინამოს" რისი მიღწევა შეუძლია ევროტურნირებზე?**

— ზუსტად ეს ძნელი სათქმელია, მაგრამ რაღაც უნდა გავაკეთოთ, სხვანაირად არ შეიძლება — ეს ხომ „დინამოა"!

დავით თამართქილაძე

ამ ბოლო დროს საკმაოდ ხშირად გაიგონებთ საუბარს კრიზისზე, რომელშიც ქართული სამეკარეო სკოლა იმყოფება. იყო პერიოდი, როდესაც სანაკრებო ფიასკოც მეკარეებს ბრალდებოდათ. რას იზამ, ასეთი ძნელი საქმეა თანამედროვე ფეხბურთში კარის დარაჯობა. მთელი თამაში უმაღლეს დონეზე რომ ჩაატარო, ერთი შეცდომაც საკმარისია, ყველასთვის არასასურველ კაცად რომ იქცე. ოლივერ კანის მაგალითია ამის დასტური.

საქართველოში, მადლობა ღმერთს, ნიჭიერ მეკარეთა თაობა გამოჩნდა. ერთ-ერთი პირველი, ვინც ყურადღება მიიქცია, თბილისის „დინამოს" საკუთრება და „ლოკომოტივში" განათხოვრებული ზურაბ მამალაძეა. 22 წლის ზურამ უკვე მოასწრო სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში და ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე ოთხ გუნდში თამაში, ახლახან კი ეროვნულ ნაკრებში დებიუტიც ჰქონდა

ცხვარიჭამიაში გადაწყვეტილი მეკარეობის ამბავი

— როგორც ყველა ქართველი ბავშვი, მეც დღეს და ღამეს ვასწორებდი ბურთის დევნაში, ჩემს გატაცებას ანგარიში გაუწიეს და „ვაკეში" მიმიყვანეს. მერე იყო „მაისი". სწორედ ამ გუნდში მუშაობდა ჯემალ მახარაშვილი, რომელსაც დიდი ამაგი აქვს ჩემზე.

— **ბურთის დევნა მიყვარდაო, ამბობ და, კარში როგორღა აღმოჩნდი?**

— ბავშვობაში ხშირად ვისვენებდი ცხვარიჭამიაში. იქ მახარაშვილს გუნდი ჰყავდა ჩამოყვანილი. მე კი ფეხბურთი ისე მიყვარდა, რომ მათთან ერთად ვვარჯიშობდი. ზოგჯერ კარშიც ვდგებოდი და ჯემალ მახარაშვილს ბოლოს ისე მოეწონა ჩემი ელასტიურობა და სიმაღლე, რომ მითხრა, შენგან კარგი მეკარე დადგებაო. დავუჯერე და არც ვნანობ, რომ წინ თამაშს კარში დგომა ვარჩიე.

— **„დინამოში" საკმაოდ პატარა მიხვედი...**

— არის კიდევ ერთი პიროვნება, ვისაც ძალიან ვემადლიერები. „დინამოში" 15 წლისა ნოდარ აკობიას მიწვევით მოვხვდი. მაშინ გუნდის მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი იყო. ასე მოვესწარი ბოსკამპის პერიოდსაც. ბოლოს კი, საქართველოს ორ საუკეთესო მეკარესთან, გვარამაძესთან და ზოიძესთან ერთად ვვარჯიშობდი და ბევრი რამ ვისწავლე მათგან.

— **„დინამოს" ძირითადში მოხვედრა ვერ მოახერხე და პრაქტიკისთვის სხვადასხვა გუნდში თამაშობდი...**

— დინამოელებს ორი თანაბარძალოვანი და, რაც მთავარია, გამოცდილი მეკარე ჰყავთ. მათთან კონკურენცია ჩემთვის ძნელი იყო. ჩემს ასაკში კი სათამაშო პრაქტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ბედნიერი ვიყავი, როდესაც წნორის „მილანში" დავაჭაშნიკე უმაღლესი ლიგა. მერე იყო „თბილისი", „სპარტაკი"... ასე საფეხურ-საფეხურ მივდიოდი უკეთესი კლუბისკენ.

— **„ლოკომოტივი" შენთვის მართლაც საუკეთესო ვარიანტი აღმოჩნდა...**

— ადრე ყველა ჩემი კლუბი უძლიერესებში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოდა და განწყობაც სხვაგვარი იყო. „ლოკომოტივი" სულ სხვაა, პასუხისმგებლობაც მეტია, ვინაიდან კარში ბევრად ნაკლებს გირტყამენ და შეცდომა ძვირად ფასობს. ამ გუნდში ძალიან კარგმა ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი. ორბელაძეც და სალუქვაძეც თუ ბოლომდე შევინარჩუნეთ, მგონი, საჩემპიონო შანსებიც გვექნება.

— **შენთვის სამახსოვრო თამაშები გაიხსენე...**

— თავის დროზე ახალგაზრდულ ნაკრებს კი გავუშინაურდი, მაგრამ, ცხადია, ეროვნული ნაკრების მაისურით თამაში სულ სხვაა. მართალია, კვიპროსზე სომხეთის ნაკრებთან დავმარცხდით, მაგრამ ჩემი თამაშით უკმაყოფილო არ დავრჩენილვარ.

— **შენი რჩეული მეკარეები...**

— ბავშვობაში შმაიხელი მომწონდა, მერე ტოლდოს და კანის თამაში. დღესდღეობით კი საუკეთესოდ ბუფონი მიმაჩნია.

დავით ერაძე

დავით ყიფიანის თასი
მერვედფინალი. პირველი მატჩები

ოზურგეთი. 10 მარტი. 15 საათი. ცენტრალური

მერცხალი — ქობულეთი

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ე. ნარმანია (ტყვარჩელი), დ. კვეტენაძე (ზესტაფონი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. ბაჩუკაშვილი

ბათუმი. 10 მარტი. 15 საათი. დინამო

ბათუმი — მცხეთა

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ეჯიბია

ქუთაისი. 11 მარტი. 15 საათი. ტორპედო

ტორპედო — სიონი

მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ა. სამხარაძე (სოხუმი); მ. მაისურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

თოვლი წასულა, ბურთი მოსულა

დღეს-ხვალ დასავლური თოვლის გამო გადადებული სათასო მერვედფინალური მატჩები ჩატარდება: „მერცხალი"—„ქობულეთი", „ბათუმი"—„მცხეთა" და „ტორპედო"—„სიონი".

დიდთოვლობის გამო დაჩაგრული წყვილები დღეს ბათუმსა და ოზურგეთში დატკეპნიან ნათოვლარ მოედანს, „ტორპედო" და „სიონი" კი შეთანხმებისამებრ ხვალ გაარკვევენ ურთიერთობას.

დაივიწყე წუწუნი და წუწუნი

აშვეთია ისტორიის გამოცდაზე

„მონაკოსთან“ მოსკოვური მატჩი მიხეილ აშვეთიამ მშრალად მოილია

დღეს მოსკოვის „ლოკომოტივი“ ისტორიას თვალებში ჩახედავს. ფრანგული „მონაკოს“ გავლის შემთხვევაში რკინიგზელები პირველად მისწვდებიან ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალს. პირველად არიან ასეთ სიმაღლეზე „ლოკომოტივის“ ქართველებიც — მიხეილ აშვეთია და მალხაზ ასათიანი.

იური სიომინის გუნდი საფრანგეთს გუშინწინ ესტუმრა და მონაკოსგან 30-მდე კილომეტრის მოშორებით, ქალაქ ნიცაში დაბინავდა. მანამდე კი მოსკოველებმა რუსეთის თასზეც მოასწრეს თამაში — ჯერ მეთექვსმეტედფინალში „ხიმკი“ დაიფრინეს, მერე კი მერვედფინალის პირველ მატჩში ყაზანის „რუბინს“ დაუზავდნენ. ამ მატჩებიდან ჩვენთვის ის იყო თვალში საცემი, რომ ასათიანისგან განსხვავებით, მიხეილ აშვეთია ოდენ შეცვლაზე შედიოდა. ცხადია, ჩვენებურის ამბებით დავინტერესდით და გუშინ საფრანგეთში შევეხმიანეთ...

— „მონაკოსთან“ თამაშამდე რამდენიმე საათიღა დარჩა და თანდათან საბრძოლო განწყობა გვიძლიერდება. დღესაც ვივარჯიშეთ და ჩანს, რომ მზად ვართ. თან ნიცაში მშვენიერი პირობებია, ამინდიც კარგია. ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ვართ და „მონაკოს“ გარდა არაფერზე ვფიქრობთ.

— ტრავმირებული ხოხლოვის თამაში საბოლოოდ გამოირიცხა?

— ხოხლოვი ვერ ითამაშებს. ეს გადაწყვეტილი ამბავია. დიდი ძალა კი გვაკლდება, მაგრამ არა უშავს, მისი შემცვლელიც მოიძებნება.

— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მალხაზ ასათიანი ნახევარდაცვაში აიწევს?

— არა. მახო ისევ დაცვაში ითამაშებს. სიომინმა უკვე საბოლოოდ „გააფორმა“ ის მცველად და, ცხადია, ასეთ თამაშში დაცვის არევას მოერიდება.

— შენზე რას იტყვი? ბოლოხანს თითქოს მოუკელი...

— ფიზიკურად ვერ ვიყავი კარგად. ამის გამოა, რომ ბოლო მატჩებში რამდენიმე რეალური მომენტი გამიცუდდა.

— და სიომინმაც სათადარიგოთა სკამზე დაგსვა...

— არა, ამას ვერ ვიტყვი. უბრალოდ, მწვრთნელმა ძალების აღსადგენად დრო მომცა და ახლა თავს უკეთ ვგრძნობ.

— არადა, მოსამზადებელზე „ლოკომოტივში“ ერთ-ერთი საუკეთესო იყავი...

— ყველაფერი იმის ბრალია, რომ შეკრებებზე სუსტ გუნდებთან ვთამაშობდით ამხანაგურებს. იქ კი გამქონდა გოლები, მაგრამ მერე უცებ ჩემპიონთა ლიგაზე გადართვა გამიჭირდა.

— მომენტები რუსეთის თასზე „რუბინთანაც“ ვერ გამოიყენე...

— მაგაზე თუ ამდენი ვიფიქრე, არაფერი გამოვა. „რუბინთან“ პირისპირ კი გავედი, მაგრამ მეკარემ ამილო. ეს უკვე ჩავლილი ამბავია და დავივიწყე. ჩემი მთავარი საფიქრალი ახლა „მონაკოა“.

— „ხიმკისთან“ და „რუბინთან“ უძირითადობა „მონაკოსთანაც“ სათადარიგოობას ხომ არ ნიშნავს?

— არა. თავიდანვე ვიცოდი, რომ ყაზანში არ ვითამაშებდი. „ხიმკისთან“ კი არ ვიცი, რა მოხდა. მწვრთნელმა ასე გადაწყვიტა. ეს არაა პრობლემა, მთავარია, „მონაკოსთან“ ისევ ძირითადში ვიქნები, სიომინი ახლახან მელაპარაკა.

— და რას იტყვი „მონაკოსთან“ მოახლოებულ თამაშზე?

— რა ვიცი, შანსი გვაქვს და უნდა გამოვიყენოთ. მართალია, ეს ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ... თუ წავაგეთ, ყველაფერი ჩვენს თავს უნდა დავაბრალოთ. ფრანგების მოსკოვიდან ასეთი ანგარიშით გაშვება არ შეიძლებოდა. 1:2 „მონაკოსთვის“ იდეალური შედეგი იყო. არადა, რა მომენტები გავანიავეთ... ამაზე წუწუნი ახლა არ ღირს. უნდა გავიდეთ!

— მოსკოვში გაფუჭებულ მომენტს მონაკოში აანაზღაურებ?

— მთავარია, მეოთხედფინალში გავიდეთ და ვინ გაიტანს, გუნდისთვისაც და ჩემთვისაც რა მნიშვნელობა აქვს...

ქახა შალამბერიძე

ავარია

კულიბალიმ კობიაშვილს სამკვირიანი ბო[illegible]

ამ უქმეებზე ლევან კობიაშვილი ყოფილმა თანაგუნდელებმა ისე დააშავეს, რომ სამი კვირა ვერ ითამაშებს. შაბათს „შალკემ“ „ფრაიბურგს“ უმასპინძლა და 3:0 მოუგო, ლევანმა კი მოედანი ნახევარ საათში დატოვა – კულიბალისთან შეტაკებისას ჩვენიან ნახევარმცველს მუხლი შეუბრუნდა და სამკურნალო გახდა

— კიდევ კარგად გადავრჩი, ვფიქრობდი, ტრავმა უფრო სერიოზული იქნებოდა, მაგრამ რენტგენისას გამოჩნდა, რომ მუხლი შედარებით მსუბუქად ყოფილა დაზიანებული — გვითხრა ლევან კობიაშვილმა, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით — ეს ტრავმა კი ორი-სამი კვირის უქმობად დამიჯდება. თუ გახსოვთ, შარშან შვეიცარიასთან შესარჩევ მატჩში რომ დავშავდი, ახლაც იგივე შემემთხვა, ოღონდ მეორე ფეხზე და მსუბუქ ფორმებში.

— ასე როგორ გაგიმეტეს ყოფილმა თანაგუნდელებმა?

— უნებლიეთ მოხდა, ბურთისთვის ვიბრძოდი და კულიბალი დამეჯახა. მაშინვე მომიბოდიშა და ნამატჩევსაც მომიკითხა, მაგრამ დაშავებულ მუხლს რაღა ეშველებოდა.

— გამოდის, ამ ტრავმის გამო გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს გამოტოვებ.

— ჯერ ვერაფერს ვიტყვი, იქით კვირას ალბათ ინდივიდუალური პროგრამით დავიწყებ ვარჯიშს და მაშინ გამოჩნდება, შევძლებ თუ არა თვის ბოლოსთვის თამაშს.

— „ფრაიბურგი“, ანგარიშიდან ჩანს, ძალიან დაგიჩაგრავთ...

— ანგარიშიდან კი ასე ჩანს, მაგრამ ამ მოგებას იოლი არ ეთქმის. მატჩის დასაწყისში სტუმრებს სამი-ოთხი კარგი მომენტი ჰქონდათ და ერთი მაინც რომ გამოეყენებინათ, ვინ იცის, თამაში როგორ გაგრძელდებოდა.

— „შალკე“ ახლა ისეთ ფორმაშია, „ფრაიბურგის“ დამარცხება მაინც არ გაგიჭირდებოდათ.

— მეორე წრიდან მართლაც ძალიან მოვუმატეთ. გუნდი უკვე ჩამოყალიბებულია, შევთამაშდით, მწვრთნელი უკვე საბოლოოდ გაერკვა ფეხბურთელთა შესაძლებლობებში და შემადგენლობაც სტაბილური გახდა. თუმც ახლა, შესაძლოა, ისევ შეგვექმნას პრობლემები, ჩემ გარდა ძირითადის კიდევ სამი ფეხბურთელია ტრავმირებული და ჰაინკესსაც რაღაც-რაღაცეების შეცვლა მოუწევს.

— ნაკრების ახალ მწვრთნელზე რას იტყვი?

— ბევრს ვერაფერს. ჟირესზე მხოლოდ ის ვიცი, რომ ძალიან ძლიერი ფეხბურთელი იყო, ლამაზად თამაშობდა. იმედი მაქვს, ნაკრებსაც ასევე ათამაშებს. უცხოელი მწვრთნელის დანიშვნა, თავისთავად კარგი ამბავია. ჟირესი ფრანგია, ყველა საფეხბურთო მოვლენასთან ახლოსაა, სიახლეები არ გამოეპარება. დანარჩენს კი მაშინ ვიტყვი, როცა ჟირესს საქმეში გავიცნობ.

კობა ინასარიძე

იმედაძემ კონტრაქტს ბოლო მოაწერა



23 წლის გიორგი იმედაძე მეორედ დაიბადა. არადა, სიმფეროპოლში წასვლამდე იმედაძეს გოლის გემო კარგახნის დავიწყებული ჰქონდა. ამას ვინ ჩივის, ოსურ „ალანიაში“, თურქულ „ქოჯაელისფორში“ და „თბილისში“ სულაც ძირითადი შემადგენლობა ენატრებოდა. უთამაშებლობას წონის მატებაც დაემატა და თავის დროზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ლიდერი უგუნდოდ დარჩა. თანაც, ბევრს იმედაძის იმედი მანამდეც დაკარგული ჰქონდა...

გიორგიმ კი ძალა მოიკრიბა, ქართველებისთვის ნაცნობ „ტავრიას“ გასასინჯად ეწვია და დაიწყო: გოლს გოლი მოჰყვა, მწვრთნელის ნდობა განმტკიცდა, წონაში დაიკლო... სხვა რა გზა იყო, უკრაინელებმა ჩვენებურს კონტრაქტი გაუფორმეს. იმედაძემაც საქმე გააგრძელა: ზედიზედ სამ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა და მოსამზადებელ ეტაპზე „ტავრიას“ საუკეთესო ბომბარდირია.

ბოლოს, გუშინწინ, გიორგი ლუცკის „ვოლინთან“ სპარინგში გამოირჩა. სიმფეროპოლელებმა მეტოქე 3:0 დაამარცხეს, ქართველმა თავდამსხმელმა კი დუბლი გააჩერხა.

შეგახსენებთ, იმედაძის გარდა „ტავრიაში“ კიდევ ოთხი ქართველი ირიცხება — გრიგოლ ჭანტურია, ზურაბ იონანიძე, კახა და ზვიად ჩხეტიანები.

უკრაინის პირველი ჩემპიონი „ტავრია“ კი ამ სეზონის პირველ წრეში ვერაფრით გამოირჩა და უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის.

ქახა შალამბერიძე

ბადრი ჯალილაძის ფოტო

ბერძნულ მეორე ლიგაში ქართველებს ბუდე მოეშალათ. „იანინამ“ თავი გაკოტრებულად გამოაცხადა. ჯონი გიგანის ბერძნული ოდისეა არ შედგა. ქართველმა ბიზნესმენმა ვალებში ჩაფლული კლუბის ყიდვა გადაიფიქრა და ზამთარში იანინაში იმედით ჩასული ქართველი მწვრთნელ-ფეხბურთელები, ფაქტობრივად, ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდნენ. შეგახსენებთ, ჯონი გიგანის მიწვევით საბერძნეთში სამი ქართველი ფეხბურთელი — ლაშა ჯაკობია, ვახტანგ ხვადაგიანი და მიხეილ ხუციშვილი ჩავიდნენ. გიგანმა მწვრთნელად ელგუჯა გუგუშვილი მიიწვია, მის თანაშემწედ კი გოდერძი ნატროშვილი. გუგუშვილი სამ კვირაში გამობრუნდა საბერძნეთიდან, რამდენიმე დღის წინ კი „იანინას“ ხვადაგიანი და ხუციშვილიც გაეცალნენ. იქ ვერ დავრჩებოდით, რადგან თავის შენახვა გაგვიჭირდებოდაო, გვითხრა ვახტანგ ხვადაგიანმა, გუშინ რომ შევეხმიანეთ

იანინაობა დამთავრდა

ქართველები თბილი ქვეყნიდან ცივად გამობრუნდნენ

— ვახტანგ, იანინაში წასვლის წინ თუ იფიქრებდით, რომ ყველაფერი ასე დასრულდებოდა?

— ახლა ისე ჩანს, რომ სერიოზულად შევცდი და ასეცაა, თუმც რას ვიფიქრებდი, თუ ასე მოხდებოდა. „იანინაში“ რომ მივდიოდით, ვიცოდით, რომ კლუბი ჯონი გიგანის საკუთრება იყო, ამიტომ წუთითაც არ გვიფიქრია, ასე თუ გაგვიჭირდებოდა. ჩავედით საბერძნეთში და გაირკვა, რომ გიგანს ჯერაც არ შეეძინა „იანინა“. ერთი მატჩი ვითამაშეთ და ბერძნებს ძალიან მოვეწონეთ, თუმც გუნდი საშინელ ფინანსურ კრიზისში იყო და მაშინვე გვინდოდა წამოსვლა, მაგრამ იანინელებმა გვითხრეს, დარჩით, ძალიან გვჭირდებით და ჩვენ გადაგიხდით ფულსო. რაღა უნდა გვექნა, დავრჩით და ერთი თვე პატიოსნად შეასრულეს სიტყვა იანინელებმა, მერე კი „იანინას“ პრეზიდენტმა კლუბი გაკოტრებულად გამოაცხადა.

— ჯაკობია და ნატროშვილი რატომღა დარჩნენ?

— ნატროშვილი არაერთი წელი თამაშობდა საბერძნეთში. იანინაშიც უცხოვრია, იქაურობას კარგად იცნობს და არ გაუჭირდება საქმის მოძებნა. რაც შეეხება ჯაკობიას, მას რაღაც ვარიანტები გამოუჩნდა მეორე ლიგაში. სეზონის დამავრებამდე ორი თვე დარჩა და მერე სხვაგან გადასვლა შეეძლება. ლაშამ გვითხრა, გავიჭირვებ, როგორღაც შევინახავ თავსო. მე და ხუციშვილს კი ამის საშუალება არ გვქონდა, არადა, იანინელები კაპიკის გადამხდელები არ არიან არც ერთი ფეხბურთელისთვის. ამიტომაც იძულებული გავხდი, ჩამოვსულიყავი.

— თქვენი წყალობით „იანინამ“ ორი მატჩი მოიგო, ბერძნები ძალიან გემადლიერებოდნენ, ქართველთა შეწევნით არ გავვარდებითო...

— „იანინას“ გავარდნისგან ვერაფერი იხსნის. თავის ქება არ მჩვევია, მაგრამ ჩვენ ყველაზე გამორჩეულები ვიყავით გუნდში. „იანინაში“ უკლასო ფეხბურთელები და გამოუცდელი ახალგაზრდები დაგვხვდნენ და მართლაც გავაძლიერეთ გუნდი. ბერძნული მეორე ლიგა კი საოცრად დაბალი დონისაა. აქედან გამომდინარე, ჩვენთან ერთად „იანინას“ არც გაუჭირდებოდა ლიგაში ადგილის შენარჩუნება, მაგრამ ახლა განწირულია, მით უფრო, რომ იქაურები უსახსროდ დარჩნენ.

— ახლა რას აპირებ, ისევ „ტორპედოს“ დაუბრუნდები?

— არა, „ტორპედოში“ არ ვითამაშებ, თუმც მაქვს რამდენიმე ვარიანტი და გადაწყვეტილებას მალე მივიღებ.

— ესე იგი, კვლავაც ეროვნულ ჩემპიონატში ითამაშებ?

— არ ვიცი, ეგებ საზღვარგარეთაც წავიდე.

— კი მაგრამ, სად? სატრანსფერო ფანჯარა ხომ თითქმის ყველგან დახურულია, გუნდები დაკომპლექტებულია...

— ყაზახეთია დარჩენილი, იქ ჯერაც საკმაო დროა ჩემპიონატის დაწყებამდე.

— ან საქართველო, ან ყაზახეთი?

— ასეა, რამდენიმე დღეში მივიღებ გადაწყვეტილებას.

პაატა ძვანტალიანი

ქინქლაძის დაისი?

ამას ალარდაისი გადაწყვეტს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ქინქლაძეს მორიგი შანსი აქვს, ინგლისურ პრემიერლიგაში დასაბრუნებლად და ყველაფერი ერთ კვირაში გაირკვევა.

30 წლის ქინქლაძე ახლა „ბოლტონში“ ვარჯიშობს. ეს გუნდი მიმდინარე პრემიერლიგაში მე-11 ადგილზეა. ქინქლაძემ „ბოლტონის“ სარეზერვო გუნდში უკვე სამი მატჩი ითამაშა — ბოლო შეხვედრაში გიორგიმ მთელ 90 წუთი დაჰყო მინდორზე.

ახლა ჯერი „ბოლტონის“ მთავარ მწვრთნელზეა — ქინქლაძის „ბოლტონში“ ჩარიცხვის საქმეს სემ ალარდაისი გადაწყვეტს. მისმა თანაშემწემ ნილ მაკდონალდმა კი კლუბის ვებგვერდზე ასეთი რამ განაცხადა: „ქინქლაძე დღითი-დღე შედის ფორმაში და სურს, ჩვენთან კარგა ხნით დარჩეს. ერთ კვირაში ის კვლავ ითამაშებს სარეზერვო გუნდში „ვულვზის“ წინააღმდეგ და ალბათ ამ მატჩის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას მის მომავალზე“.

დავით თავართქილაძე

მიხაილიჩენკო არავის ინდობს

კიევის „დინამოს“ მარცხიანი სათასო სტარტის შესახებ უკვე გამცნეთ, გამცნეთ ისიც, რომ „დნიპროსთან“ გაშვებულ გოლებში ალეკო ამისულაშვილს ბრალი არ მიუძღოდა. ეს თავად ფეხბურთელმაც დაგვიდასტურა, თუმცა დინამოელთა მწვრთნელ ალექსეი მიხაილიჩენკოსგან შერისხულთა შორის ჩვენებურიც აღმოჩნდა. ვითარებაში უკეთ გასარკვევად, ბუნებრივია, კიევში დარეკვა და ინფორმაციის პირველიწყაროდან მიღება ვარჩიეთ.

კიევში მართლაც რთული სიტუაცია დაგვხვდა, ჩვენთან საუბარს ფაქტობრივად ყველა გაურბოდა, ამას მოუცლელობით ან კლუბში შექმნილი საგანგებო ვითარებით ხსნიდნენ. კლუბის ადმინისტრაციის წევრმა ევგენი კატელნიკოვმა გაბედა და აგვიხსნა, თუ რატომ დაიმსახურა ამისულაშვილმა მიხაილიჩენკოს რისხვა: „თქვენებური მიხაილიჩენკომ გაბრაზებულ გულზე გააკრიტიკა. ის ძალიან განრისხებული იყო მარცხით და არავინ დაზოგა. იცით, დღეს ვარჯიშამდე რა მოხდა? კრება მოიწვია, კლუბის ყველა ახალწვეული დაითხოვა და ძველი გვარდია ბავშვებივით დატუქსა. მისი ყვირილის ხმა გარეთაც გამოდიოდა“. უკრაინაში იმასაც ამტკიცებენ, რომ თავად მიხაილიჩენკოს სამწვრთნელო პერსპექტივა კიევის „დინამოში“ არც ისე მყარია. რაც შეეხება ამისულაშვილის თამაშს, მან ეს გვითხრა: „მეორე გუნდში არ გადავუყვანივართ, ისევ გაფართოებულ შემადგენლობაში ვირიცხები და მომზადებას ძირითად ჯგუფთან ერთად განვაგრძობ. მათამაშებს თუ არა „ტავრიასთან“, ამას მიხაილიჩენკო თამაშის დღეს გადაწყვეტს. პირადად ჩემთვის პრეტენზიები არ წამოუყენებია“.



გურამ დოლიძის ფოტო

დავით ერაძე



თანაც ექსკურსია...

ჩეხურ შეკრებაზე მყოფ მოსკოვის „დინამოს“ ორიოდ დღის წინ მწვრთნელმა, იაროსლავ გუბიკმა ექსკურსია მოუწყო და პრაღა დაათვალიერებინა.

მეორე დღეს კი რუსები მასპინძელ „კოლინს“ ამხანაგურად გაეჯიბრნენ და 3:0 იმარჯვეს. ჩვენებურმა ოთარ ხიზანეიშვილმა მეორე ტაიმი ითამაშა.

ეს მატჩი იმით იყო საინტერესო, რომ გუბიკმა კიდევ ერთ ფეხბურთელს მიუთითა კარისკენ (საფეხბურთო კარი არ იგულისხმება). სამხრეთაფრიკელმა თავდამსხმელმა მხლონგომ მწვრთნელის გემოვნება ვერ დააკმაყოფილა და „დინამო“ დატოვა. სამაგიეროდ, მოსკოველები სლოვანელ ბაფურ გიანს შეუთანხმდნენ და მალე კონტრაქტსაც გაუფორმებენ, რასაც ჯერაც იმედით ელის ოთარ ხიზანეიშვილი.

„დინამო“ შეკრებას „იაბლონეცთან“ სპარინგით დაასრულებს და მოსკოვში 11 მარტს დაბრუნდება. სავარაუდოდ, ხიზანეიშვილის ბედიც მაშინ გაირკვევა.

ძახა შალამბერიძე

სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით

ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...
სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები...
საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91. 53-76-82 899 56-18-49

სარბიელი ⅝ კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. I დივიზიონი. XXIX ტური						
		10 მარტი						
24.00	059	სანდერლენდი-პრესტონი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
		ინგლისი. II დივიზიონი. XXXV ტური						
		10 მარტი						
23.45	078	ბრაიტონი-ტრანმერი	1,6	3,4	5,3	1,08	1,22	2,07
		შოტლანდია. I დივიზიონი. XXIII ტური						
		10 მარტი						
23.30	143	ქუინი-კლაიდი	2,6	3,4	2,25	1,47	1,2	1,35
		შოტლანდია. I დივიზიონი. XXVI ტური						
		10 მარტი						
23.45	145	ბრეჩინი-რეიხი	2,25	3,4	2,6	1,35	1,2	1,47
		შოტლანდია. II დივიზიონი. XXV ტური						
		10 მარტი						
23.30	156	სტენპაუსმური-არბროხი	2,4	3,4	2,4	1,4	1,2	1,4
		შოტლანდია. III დივიზიონი. XXV ტური						
		10 მარტი						
23.30	165	სტირლინგი-ელგინი	1,15	5,6	9,0	1	1,01	3,45
		გერმანია. II ბუნდესლიგა. XXII ტური						
		10 მარტი						
21.15	173	ობერპაუსენი-მაინცი	2,1	3,1	3,3	1,25	1,28	1,59
		ავსტრია. ბუნდესლიგა. XXII ტური						
		10 მარტი						
21.00	361	რაპიდი-კერნტენი	1,4	3,8	7,5	1,02	1,17	2,52
		შვეიცარია. ჩელენჯლიგა						
		10 მარტი						
22.30	384	ბადენი-შო დე ფონი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
22.30	385	ბუელე-შაფპაუსენი	3,0	3,0	2,25	1,5	1,28	1,28
22.30	386	ლელემონი-სიონი	2,5	3,1	2,45	1,38	1,23	1,36
		სლოვაკეთი. I ლიგა. XVII ტური						
		10 მარტი						
19.00	473	ტრენჩინი-პეტრჟალკა	2,2	3,1	2,9	1,28	1,25	1,49
		ჩილე. აპერტურა. VI ტური						
		10 მარტი						
02.00	550	უნ.კატოლიკა-უანიპატო	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6
04.00	551	უონდერერსი-კოკიმბო	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
04.30	552	ტემუკო-კოლო კოლო	3,3	3,3	1,95	1,65	1,22	1,22
03.00	553	კონსეპსიონი-რეინჯერსი	1,1	5,0	10,0	1	1	2,33
04.00	554	აუდაქსი-პუერტო მონტი	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87
23.30	555	კობრესალი-სან ფელიპე	1,95	3,2	3,4	1,21	1,23	1,64
04.30	558	კობრელოა-უნ.ესპანიოლა	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
		ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. II მატჩები						
		10 მარტი						
23.45	006	არსენალი-სელტა	1,4	3,8	8,0	1,02	1,19	2,57
23.45	007	მილანი-სპარტა	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
23.45	008	მონაკო-ლოკომოტივი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
23.45	009	რეალი-ბაიერნი	1,6	3,4	5,6	1,08	1,24	2,11
		უეფას თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები						
		11 მარტი						
22.30	010	გენჩლერბირლიგი-ვალენსია	3,3	3,2	2,1	1,62	1,28	1,26
22.00	011	ბორდო-ბრიუგე	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
23.30	012	ოსერი-პსვ	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
23.45	013	ნიუკასლი-მალიორკა	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02
24.00	014	ბენფიკა-ინტერი	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38
24.00	015	სელტიკი-ბარსელონა	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
24.00	016	ლივერპული-მარსელი	1,6	3,4	5,6	1,08	1,24	2,11
00.30	017	ვილიარეალი-რომა	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38
		ლიბერტადორესის თასი						
		10 მარტი						
00.15	602	კობრელოა-ალიანსა	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
02.30	603	კურიტიბა-როსარიო	1,95	3,2	3,4	1,21	1,23	1,64
03.45	604	სან პაულუ-ინტერნაციონალი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
04.45	605	დეპორტივო-ბოკა ხუნიორსი	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6
07.00	606	სანტოსი(მექ)-კრუსეირო	2,25	3,1	2,9	1,3	1,26	1,49
		11 მარტი						
04.15	607	ტოლიმა-რივერ პლეიტი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
02.00	608	სანტოსი(ბრ)-ბარსელონა	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
02.00	609	სან კაეტანო-ამერიკა	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
06.30	610	სენსიანო-ნასიონალი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5206	არსენალი-სელტა	1,9	1,7
5207	მილანი-სპარტა	1,85	1,75
5208	მონაკო-ლოკომოტივი	1,7	1,9
5209	რეალი-ბაიერნი	1,8	1,8
5210	გენჩლერბირლიგი-ვალენსია	1,7	1,9
5211	ბორდო-ბრიუგე	1,7	1,9
5212	ოსერი-პსვ	1,65	1,95
5213	ნიუკასლი-მალიორკა	1,8	1,8
5214	ბენფიკა-ინტერი	1,7	1,9
5215	სელტიკი-ბარსელონა	1,75	1,85
5216	ლივერპული-მარსელი	1,7	1,9
5217	ვილიარეალი-რომა	1,7	1,9

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
5006	არსენალი-სელტა	1,65	2,6	7,0	1	1,33	1,89
5007	მილანი-სპარტა	1,45	3,2	8,0	1	1,22	2,28
5008	მონაკო-ლოკომოტივი	1,85	2,25	6,5	1,01	1,44	1,67
5009	რეალი-ბაიერნი	2,0	2,2	5,6	1,04	1,47	1,57
5010	გენჩლერბირლიგი-ვალენსია	4,0	2,05	2,5	1,35	1,53	1,12
5011	ბორდო-ბრიუგე	2,2	2,1	5,0	1,07	1,52	1,47
5012	ოსერი-პსვ	2,5	2,05	4,0	1,12	1,53	1,35
5013	ნიუკასლი-მალიორკა	1,95	2,25	5,6	1,04	1,44	1,6
5014	ბენფიკა-ინტერი	3,2	2,05	3,1	1,24	1,57	1,23
5015	სელტიკი-ბარსელონა	3,1	2,05	3,2	1,23	1,57	1,24
5016	ლივერპული-მარსელი	1,9	2,25	6,0	1,03	1,44	1,63
5017	ვილიარეალი-რომა	3,2	2,05	3,1	1,24	1,57	1,23

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი დაბალია ჩაითვლება)

5406	არსენალი-სელტა	1,25	3,7
5407	მილანი-სპარტა	1,2	4,0
5408	მონაკო-ლოკომოტივი	1,4	3,0
5409	რეალი-ბაიერნი	1,45	2,8
5410	გენჩლერბირლიგი-ვალენსია	2,1	1,75
5411	ბორდო-ბრიუგე	1,6	2,4
5412	ოსერი-პსვ	1,7	2,2
5413	ნიუკასლი-მალიორკა	1,45	2,8
5414	ბენფიკა-ინტერი	1,9	1,9
5415	სელტიკი-ბარსელონა	1,9	1,9
5416	ლივერპული-მარსელი	1,4	3,0
5417	ვილიარეალი-რომა	1,95	1,85

ბაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
5306	არსენალი-სელტა	1,8	1,8
5307	მილანი-სპარტა	1,9	1,7
5308	მონაკო-ლოკომოტივი	1,7	1,9
5309	რეალი-ბაიერნი	1,65	1,95
5310	გენჩლერბირლიგი-ვალენსია	1,65	1,95
5311	ბორდო-ბრიუგე	1,7	1,9
5312	ოსერი-პსვ	1,7	1,9
5313	ნიუკასლი-მალიორკა	1,7	1,9
5314	ბენფიკა-ინტერი	1,65	1,95
5315	სელტიკი-ბარსელონა	1,65	1,95
5316	ლივერპული-მარსელი	1,7	1,9
5317	ვილიარეალი-რომა	1,65	1,95

შემდეგ ეტაპზე გასვლა

		10 მარტი	
23.45	7005	არსენალი-სელტა	1,01
23.45	7006	მილანი-სპარტა	1,1
23.45	7007	მონაკო-ლოკომოტივი	1,55
23.45	7008	რეალი-ბაიერნი	1,25
		11 მარტი	
22.30	7009	გენჩლერი-ვალენსია	4,0
22.00	7010	ბორდო-ბრიუგე	1,65
23.30	7011	ოსერი-პსვ	1,8
23.45	7012	ნიუკასლი-მალიორკა	1,45
24.00	7013	ბენფიკა-ინტერი	2,5
24.00	7014	სელტიკი-ბარსელონა	2,2
24.00	7015	ლივერპული-მარსელი	1,4
00.30	7016	ვილიარეალი-რომა	3,0

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
5506	არსენალი-სელტა	3,0	2,8	2,0
5507	მილანი-სპარტა	3,0	2,8	2,0
5508	მონაკო-ლოკომოტივი	3,0	2,8	2,0
5509	რეალი-ბაიერნი	3,0	2,8	2,0
5510	გენჩლერბირლიგი-ვალენსია	3,0	2,8	2,0
5511	ბორდო-ბრიუგე	3,0	2,8	2,0
5512	ოსერი-პსვ	3,0	2,8	2,0
5513	ნიუკასლი-მალიორკა	3,0	2,8	2,0
5514	ბენფიკა-ინტერი	3,0	2,8	2,0
5515	სელტიკი-ბარსელონა	3,0	2,8	2,0
5516	ლივერპული-მარსელი	3,0	2,8	2,0
5517	ვილიარეალი-რომა	3,0	2,8	2,0

ტურში ბატანილი გოლების რაოდენობა

13.03 16.30 6001 ინგლისი ჩლ (XXVIII)
25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
13.03 18.30 6002 გერმანია ბლ (XXIV)
25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
13.03 21.00 6003 იტალია A (XXV)
23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9
13.03 22.30 6004 ესპანეთი Iდ (XXVIII)
25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
13.03 20.15 6005 საფრანგეთი Iდ (XXVIII)
21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9
13.03 21.15 6006 პორტუგალია ჩლ (XXVI)
22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9
12.03 23.00 6007 ჰოლანდია Iდ (XXV)
25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
12.03 23.30 6008 ბელგია Iდ (XXVI)
25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

1-ლი	ტაიმი/ძირითადი დრო	1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5106	არსენალი-სელტა	1,8	15,0	30,0	3,4	4,6	14,0	20,0	12,0	12,0
5107	მილანი-სპარტა	1,5	20,0	40,0	3,5	5,6	17,0	25,0	17,0	17,0
5108	მონაკო-ლოკომოტივი	2,0	12,0	25,0	3,4	4,4	10,0	20,0	10,0	10,0
5109	რეალი-ბაიერნი	2,2	10,0	20,0	3,4	4,4	10,0	20,0	10,0	9,0
5110	გენჩლერბირლიგი-ვალენსია	5,0	10,0	20,0	5,6	4,4	4,2	20,0	10,0	5,2
5111	ბორდო-ბრიუგე	2,5	10,0	20,0	3,5	4,4	7,5	20,0	10,0	7,0
5112	ოსერი-პსვ	3,0	10,0	20,0	4,0	4,4	6,0	20,0	10,0	5,3
5113	ნიუკასლი-მალიორკა	2,3	10,0	20,0	3,4	4,4	9,0	20,0	10,0	8,0
5114	ბენფიკა-ინტერი	3,8	10,0	20,0	4,6	4,4	4,6	20,0	10,0	3,8
5115	სელტიკი-ბარსელონა	3,6	10,0	20,0	4,6	4,4	4,6	20,0	10,0	3,8
5116	ლივერპული-მარსელი	2,2	10,0	20,0	3,4	4,4	10,0	20,0	10,0	9,0
5117	ვილიარეალი-რომა	3,8	10,0	20,0	4,6	4,4	4,6	20,0	10,0	3,8

ჩემპიონები და თასის აღება

9001
ინგლისი (13.03)

არსენალი	1,04
მანჩესტერი	6,0
ჩელსი	10,0

9002
გერმანია (13.03)

ვერდერი	1,45
ბაიერნი	2,2
შტუტგარტი	15,0

9003
იტალია (13.03)

მილანი	1,35
რომა	4,0
იუვენტუსი	5,0

9004
ესპანეთი (13.03)

რეალი	1,01
ვალენსია	7,0
დეპორტივო	20,0

9005
საფრანგეთი (13.03)

მონაკო	1,25
ლიონი	3,2
პსჟ	7,0

9006
პორტუგალია (13.03)

პორტუ	1,01
სპორტინგი	10,0

9007
ჰოლანდია (12.03)

აიაქსი	1,03
პსვ	5,0

9008
ავსტრია (13.03)

აუსტრია	1,7
რაპიდი	3,0
გრაცერი	3,0

9009
დანია (14.03)

ბრიონსბიუ	1,3
ესბიერგი	4,0
კოპენჰაგენი	5,0

9010
საბერძნეთი (13.02)

ოლიმპიაკოსი	1,6
პანათინაიკოსი	2,0

9011
უკრაინა (13.03)

შახტარი	1,55
დინამო	1,95

9022
უეფას თასი (11.02)

ბარსელონა	5,0
ინტერი	5,0
ლივერპული	5,0
რომა	5,0
ვალენსია	5,0
ნიუკასლი	7,0
სელტიკი	10,0
მარსელი	15,0
ბორდო	15,0
მალიორკა	15,0
პსვ	15,0
ვილიარეალი	15,0
ოსერი	15,0
ბენფიკა	25,0
ბრიუგე	25,0
გენჩლერბირლ.	40,0

9031
NHL (05.04)

კოლორადო	4,0
დეტროიტი	5,0
ფილადელფია	5,5
ვანკუვერი	6,0
ტორონტო	6,0
ნიუ ჯერსი	6,5
ოტავა	7,0
ტამპა ბეი	10,0
დალასი	12,0
სან ხოსე	15,0
ბოსტონი	18,0
სტ.ლუისი	25,0
ლოს ანჯელესი	25,0
კალგარი	30,0
აილენდერსი	40,0
მონრეალი	40,0
ნეშვილი	40,0

9032
NBA (15.04)

ლეიკერსი	2,0
საკრამენტო	3,5
სან ანტონიო	5,0
მინესოტა	6,0
დალასი	8,0
ინდიანა	10,0
ნიუ ჯერსი	12,0
დეტროიტი	15,0
ნიუ ორლეანი	30,0
ჰიუსტონი	50,0
ნიუ იორკი	60,0
ფილადელფია	75,0
ბოსტონი	75,0
დენვერი	75,0
ტორონტო	75,0
მილუოკი	75,0
მემფისი	75,0
პორტლენდი	100,0

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად
კროკოს
ბიუროები
მუშაობს
მხოლოდ აქვე
მითითებულ
მისამართებზე
და არსად სხვაგან.
ყველა სხვა
ქალაქში ან
დასახელებული
ქალაქები
სხვა მისამართზე
კროკოს
სახელის,
სიმბოლიკის,
კოეფიციენტების
გამოყენება
უკანონოა,
შპს კროკოს
არ ეხება
და მოქმედი
კანონმდებლობის
შესაბამისად
ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

საქართველოს ჩემპიონატი

9 მარტი. ვერის ბაღი

სტუ 107:77 ქუთაისი

22:13 25:18 29:16 31:30

სტუ: გაგნიძე (11), მიქაძე (14), მარკოიშვილი (16), ახალკაცი (14), ჯაფარიძე (12); ლ. შანიძე (17), გიორგობიანი (7), ნიკოლაძე (6), ქისტაური (6), კოხრეიძე (4)

ქუთაისი: შავლაყაძე (11), ნიჟარაძე (10), პირტახია (8), კოღუაშვილი (15), ნ. შანიძე (10); ფურცხვანია (8), მამისეიშვილი (7), ნარსია (4), ცერცვაძე (4), ჭულუხაძე

მსაჯები: ზურაბ ანდრიაძე, ზაზა ლოლაშვილი

კომისარი: რონალდ ხომერიკი

ბასკო 84:27 სსუ

22:5 23:10 17:5 22:7

ბასკო: დ. ბერიშვილი (22), ბ. ბერიშვილი (8), კუშელავა (5), ტუჯანი (8), ბერძენიშვილი (9); იმნაძე (16), კვიმსაძე (10), როდუმტა (6)

სსუ: პატარაია, სორდია (9), ზანგურაშვილი, კანკია (2), ურიდია (6); ფაცაცია (6), გოლეთიანი (2), ფარღალავა (2), ქვილითაია, გოლეთიანი

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: რონალდ გელოვანი



ვაჟა კვარაცხელიას გუნდი გაუნადგურეს

ვაი, ნანა!

27 ქულა 40 წუთში

ჩვენი უგერგილო ჩემპიონატის გადამკიდე, რას არ ნახავ ვერის ბაღში, მაგრამ გუშინ იქ მართლაც საოცარი ამბავი დატრიალდა, „ბასკო“ — სსუ-ს მატჩში სოხუმელებმა მხოლოდ 27 ქულის შეკოწიწება მოახერხეს.

ოფიციალური საკალათბურთო სტატისტიკის არარსებობის პირობებშიც კი თამამად შეგვიძლია ეს შედეგი ანტირეკორდად გამოვაცხადოთ. 1991 წლიდან მოყოლებული ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მატჩებში ასე ცოტა ქულის დაგროვება ვერცერთ გუნდს „მოუხერხებია“. ხელაღებით ვერ ვიტყვით, ვინ და როდის ჩააგდო ყველაზე ცოტა ქულა, საამისოდ კალათბურთის ფედერაციის არქივში ქექვაა საჭირო, თუმც როგორც მრავლისმნახველი და ავტორიტეტული ხალხი ამბობს, ყველაზე მეტად აწდაშლილ „შევარდენს“ შეურცხვენია თავი, რომელსაც ოდესღაც რომელიღაც ბობოლასთან მატჩში 36 ქულა მოუგროვებია.

თუ ამ ცნობას მივენდობით — და ძნელია, არ მიენდო — სსუ-ს მთელი 9 ქულით „გადაუჭარბებია“ ანტირეკორდისთვის, რაც ცოტა არ იყოს, სამარცხვინოა.

რა უნდა ითქვას უშუალოდ მატჩზე? ბევრიც არაფერი, „ბასკომ“ გულიანად გადაურბინა სსუ-ს, რითაც ყველას დაანახვა, რომ ანგარიშგასაწევი დაცვა ჰყავს. ზღვისპირელთა მწვრთნელმა ნუგზარ კანდელაკმა სადღეისო თსუ — „ბასკოს“ წინასამატჩო პრესკონფერენციაზე თქვა, დარჩენილ უმოტივაციო თამაშებს დაცვისა და შეტევის დასახვეწად გამოვიყენებთო. აგერ, ბატონო, სსუ-სთან მატჩი „ბასკომ“ დაცვის გასავარჯიშებლად გამოიყენა და ცოტა ზედმეტიც მოუვიდა. მხოლოდ 27 ქულა ჩააგდებინო მეტოქეს, თუგინდ სსუ-ს, ნებისმიერი გუნდისთვის ურთულესი ამოცანა იქნება. ამ რეკორდის თუ ანტირეკორდის გაუმჯობესებას უთუოდ სხვაც ეცდება, რადგან წლევანდელ სეზონს უკვე ახსოვს მოწინავე გუნდების რეკორდების დამყარებაში გაჯიბრება. „ბასკომ“ 3 თებერვალს 82 ქულით მოუგო ამავე სსუ-ს. თხა თხაზე ნაკლები მგელმა შესანსლაო, და „დინამომ“ ეს რეკორდი „ქუთაისთან“ მატჩში 12 ქულით გააუმჯობესა — 147:53 გაიმარჯვა. ალავერდს ალბათ ისევ „დინამო“ გადაილოცავს, „ბასკოს“ ჯინში მდგომი ჩემპიონი.

ამ რეკორდმატჩამდე „სტუ-ჯეოსელმა“ გაიშლიგინა „ქუთაისზე“, თუმც ნამეტანი არ მოუწადინებია, თორემ ვინძლო, კიდევ რომელიღაც რეკორდი გამომცხვარიყო. სტუდენტებმა ძირითადის რამდენიმე წევრი დაასვენეს და მათ ორ დუბლიორს საუმაღლესლიგო დებიუტი დააგემოვნებინეს. ახალგაზრდა გიორგობიანმა და კოხრეიძემ ჯამში 11 ქულა ჩაუგდეს ქუთაისელებს, მათმა „სტუ-ჯეოსელმა“ კი 107:77 დასცა მეტოქე.

ირაკლი პერტაია

სატურნირო ვითარება

ბასკო	22	20	2	+616	42
სტუ	22	16	6	+341	38
დინამო	21	16	5	+433	37
თსუ	21	12	9	+116	33
რუსთავი	21	12	9	+118	33
მაკაბი	21	7	14	-149	28
სსუ	22	3	19	-599	25
ქუთაისი	22	0	22	-876	22

ბასკოს რა ედარდება

თსუ VS ბასკო

დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს შანსი ეძლევა, ბოლოს და ბოლოს გატეხოს წარუმატებელი სერია და პრინციპულ მეტოქესთან დაამტკიცოს, რომ ტყუილად არ უმიზნებს ჩემპიონობას. სტუდენტებს მეტოქედ დაარხეინებული ბათუმის „ბასკო“ ჰყავთ, რომელმაც ფაქტობრივად უკვე გაინაღდა რეგულარულის ჩემპიონობა. გუშინ კი „მსოფლიო სპორტში“ საამმატჩო პრესკონფერენცია მოეწყო, რომელიც თსუ-ს ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა, ახლა კი მამუკა ტურაშვილის თანაშემწე გია ჯავახიშვილმა გახსნა...

გია ჯავახიშვილი — „ამ მატჩისთვის განსაკუთრებით ვემზადებით, ერთი კვირაა, მთელი მონდომებით ვვარჯიშობთ. ძალიან გვჭირდება მოგება, რათა ის წარუმატებელი სერია შევწყვიტოთ, რომელიც აქამდე გვქონდა. ბოლო მატჩებში ჩვენი წარუმატებლობის მიზეზი სათანადოდ მოუმზადებლობაა, არ ვიყავით მწყობრში და ამიტომ წავაგეთ ყველა პრინციპული მატჩი. დარჩენილ თამაშებში მაქსიმალური ქულების მოპოვებას შევეცდებით, რათა კონკურენტ „სტუ-ჯეოსელს“ გადავასწროთ და ნახევარფინალში ბათუმში თამაშს ავცდეთ. სამწუხაროდ, „ბასკოსთან“ და ალბათ სეზონის ბოლომდეც გუნდის ლიდერი ლევან ქარაბაკი გამოგვაკლდება. შესაძლოა, არც კახა შენგელიამ ითამაშოს.“

ბათუმელთა თავკაცმა **ნუგზარ კანდელაკმა** უფრო თამამად ილაპარაკა, რაც გასაგებიცაა, მის გუნდს ფსიქოლოგიური წნეხი მოხსნილი აქვს...

— „სასწული უნდა მოხდეს, ცხრილში პირველი ადგილი რომ დავკარგოთ, საამისოდ ლამის ყველა თამაში უნდა წავაგოთ, რაც არ მოხდება. ეს მომენტი, რა თქმა უნდა, თსუ-სთან მატჩის წინ ჩვენს წინსქვილზე ასხამს წყალს. „ბასკო“ ხვალ უფრო ლაღად ითამაშებს, თსუ კი თითოეულ ბურთს გაუფრთხილდება. თუმც ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ჩვენ მოგება არ გვინდოდეს, შევეცდებით თსუ-ს დამარცხებას, რითაც საბოლოოდ გავინაღდებთ პირველობას. დარჩენილ მატჩებს კომბინაციების დასამუშავებლად გამოვიყენებთ. შევეცდებით, დაცვასა და შეტევაში თამაშის გაუმჯობესებას. ტრავმირებულები არ გვყავს, პირიქით, მატებასაც ველოდით, მაგრამ ანატოლი ბოისა ალბათ ვეღარ ჩამოგვისწრებს ხვალინდელ მატჩზე. ტოლიკა გერმანიიდან პირველივე რეისით მოემგზავრება.“

მიწურულს მოთამაშეებმაც თქვეს ერთი-ორი....

ირაკლი მაისურაძე, თსუ-ს გამთამაშებელი — „მეტად პრინციპული მატჩია, განსაკუთრებით ჩვენთვის. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მოვიგოთ?! მოგვბეზრდა ამდენი წაგება, გვსურს, „ბასკოს“ ვაჯობოთ და გამარჯვების სერიას დავუდოთ სათავე.“

დავით ბერძენიშვილი, „ბასკოს“ ცენტრი — „თსუ-ს ძალიან გამოცდილი მოთამაშეები ჰყავს და ცხადია, მოგებაც უნდა. ჩვენც არ ვაპირებთ დათმობას, ასე რომ, საინტერესო ბრძოლა იქნება.“

ცნობისთვის: ამ სეზონში „ბასკომ“ ორი წაგებიდან ერთ-ერთი სწორედ დღევანდელ მეტოქე თსუ-სთან განიცადა. მაშ ასე, დღეს 3 საათზე ვერის ბაღში საინტერესო ჯახია.

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

MALONE GO HOME



კარლ მელოუნმა იუტა დაკარგა

8 მარტი

იუტა 88:83 ლეიკერსი

იუტა: გირირჩეკი (21), ლოპესი (17), კირილენკო (15 ქულა, 14 მოხსნა, 5 დაფარება)

ლეიკერსი: პეტონი (21), ონილი (16 ქულა, 10 მოხსნა), ფიშერი (13)

დალასი 103:90 ფინიქსი

დალასი: ნოვიცკი (26), ჯემისონი (21), ფინლი (13)

ფინიქსი: მერიონი (29 ქულა, 13 მოხსნა, 8 პასი), სტუდემაიერი (19), ჯონსონი (17)

ფილადელფია 97:92 მილუოკი

ფილადელფია: ბაკნერი (20), ჰამილტონი (19), სნოუ (17 ქულა, 12 პასი)

მილუოკი: რედი (20), მეისონი (18), სკინერი (16)

ატლანტა 102:108 კლივლენდი

ატლანტა: ჯეკსონი (30), კროუფორდი (25), ტერი (17)

კლივლენდი: ჯეიმსი (34), ბუზერი (25 ქულა, 11 მოოხსნა), ილგაუსკასი (20)

„ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ აშკარად სჭირდება დახმარება. შაკილ ონილი და გერი პეიტონი ვეღარ აუდიან მომხდურთათვის პასუხების დროულად დაბრუნებას. როცა ხელფასად ბევრი მილიონი გაქვს და მეტი გინდა, ვის რას დაუთმობ? მით უმეტეს სახრავთან ერთად „ლეიკერსის“ დამარცხება ყველასთვის სახელიცაა. ჰოდა, როცა ყოველი მატჩი ომის ტოლფასია, ენერგიაც მიედინება, ხოლო წაგებული თამაშების რაცხვი არასასურველად სწრაფად მატულობს.

გუშინდელ სოლტ ლეიკ სიტიში იქაურ „იუტასთან“ ჯახში გერი პეიტონმა 21 ქულა, 7 პასი და 6 მოხსნა გაშანსა, შაკილმა კი 16 ქულა და 10 მოხსნა, მაგრამ ეს ვერ ეყო „ჯიზის“ ძლევას. „ლეიკერსს“ აშკარად ახალი და დასვენელები ძალები სჭირდება.

ამ თამაშში გაჩნდა იმედი, რომ დამხმარე გამოჩნდება. მთელი სეზონი ორ კალათსა და ექიმ-ვექილებს შორის სირბილით გათანგული კობი ბრაიანტი ალბათ მალე დაბრუნდება მოედანზე.

„ლეიკერსის“ მესვეურებს და ფანებს თვით ბეხრეკი კარლ მელოუნის დაბრუნების იმედიც კი გაუჩნდათ. ოთხი მძლავრი ლეიკერსელიდან მელოუნს ყველაზე მეტი დრო გაუცდა მშობელი დედის გლოვისა და ტრავმის გამო. ახლა კი ის, როგორც იქნა, დაენახა საკალათბურთო პუბლიკას. მელოუნი „ლეიკერსს“ იუტაში ჩაჰყვა და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალყურს ყოფილი და ახლანდელი გუნდების ჯახს. მორმონთა შტატის საკალათბურთო აუდიტორია არცთუ თბილად შეხვდა თავიანთი გუნდის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეს (მელოუნი 1985-2003 წლებში „იუტაში“ თამაშობდა). თანაც მას შელაპარაკება და როგორც იუწყებიან, არა პირველად მოუვიდა „ჯაზის“ მფლობელ ლარი მილერთან. რის თაობაზე, ვერ მოგახსენებთ, რაკი არც ერთმა განმარტა ურთიერთსაუბრის არსი. მილერმა ესღა თქვა — თავიდან მომწყდეს, მისი დანახვაც არ მინდაო. ვინ იცის, იქნებ წლეულს მელოუნის „ლეიკერსში“ გადასვლამ გაიფუჭა საქმე ორ ძველ ახლობელს შორის.

მელოუნმა კი თქვა — „ძალიან მწყინს. ბიჭებო, მინდა გაიგოთ, საიდან მომიხდა წამოსვლა ერთი წლის წინ. ხალხი ლაპარაკობს, რომ ეს მათი პრობლემაა და აი ესაა საწყენი. ჩემთვის იოლი არაა შეგუება იმასთან, რომ ვკარგავ ჩემთვის ძვირფას ადამიანს, რომელმაც გამიღო სამყაროს კარი და ვკარგავ იმას, რაც ძვირფასი იყო 18 წლის განმავლობაში.“

რაღა ბევრი გავაგრძელოთ და ყველა ეს პრობლემა „ლეიკერსის“ ანგარიშზე „ჯდება“, ანგარიშები კი ყოველთვის არ მოგვაგონებს ამ გუნდის ბოლო წლების დიდების დღეებს.

სხვათა შორის, „იუტასთან“ ვერ ითამაშა მელოუნის პოზიციაზე „ლეიკერსის“ ხუთეულში დამკვიდრებულმა უკრაინელმა სლავა მედვედენკომ. მისი ადგილი ახალბედა ლუკ უოლტონმა დაიკავა და ეს წლეულს „ლეიკერსის“ სასტარტო ხუთეულის მე-17 ვარიანტია (პეიტონი, რაში, ფოქსი, უოლტონი, ონილი).

დღის სხვა ამბებიდან ყველაზე თვალსაჩინოა კლივლენდელი შავი მზეჭაბუკის ლებრონ ჯეიმსის 34 ქულა „ატლანტას“ კალათში. „კლივლენდმა“ — რა გასაკვირია — მოიგო.

კოტე ყორღანია

ბორჯღალოსნები ამ ბიჭებს 20 მარტს „ლოკომოტივზე“ შეერკინებიან

პორტუგალია ჩეხეთის გალიაცაა

შაბათს საქართველოსგან რუსეთის ზედიზედ მესამედ, სულ კი მეექვსედ ძლევის დღეს ერთა თასის სხვა მატჩებიც გაიმართა. რუმინელებმა შინ 50:10 გაანადგურეს ესპანელები, ხოლო ბორჯღალოსანთა მომდევნო მეტოქე ჩეხები პრაღაში დამარცხდნენ პორტუგალიასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ პორტუგალიამ, ისევე როგორც თბილისში, 5 ქულით იმარჯვა — 8:13. აქაც მატჩის ბოლომდე სულ 2 ქულა იყო განსხვავება, მაგრამ უკანასკნელ წუთებზე „ლობოსებმა“ ჯარიმა გაიტანეს და მეორე გამარჯვებაც იზეიმეს.

„იმედგაცრუებული ვარ შედეგით. ხალხი ამბობს, რომ შეგვეძლო მოგება, მე კი ვიტყვი — აუცილებლად უნდა მოგვეგო“ — ეს ჩეხთა კაპიტან ლადისლავ ვონდრაშეკის სიტყვებია.

პირველ ტაიმში ჩეხები მშვენივრად იცავდნენ თავს და პორტუგალიელებმა მხოლოდ კინკილა ლელოს გატანა შეძლეს. ტაიმის მიწურულს კი ჩეხმა ტონი ბრაბეცმა რთული პოზიციიდან, დიდი ზეწოლის მიუხედავად არეკნი გაიტანა და პირველი ტაიმის შედეგი დააფიქსირა — 3:5.

შესვენების შემდეგ სლავები განაგრძობდნენ შეტევებს, რასაც ჩეხთა მცველის იან როჰლიკის ლელო მოჰყვა. ლელომ, ასე ვთქვათ, დათვური სამსახური გაუწია მასპინძლებს, აუტში სუსტი თამაშის და უყურადღებო თავდაცვის გამო მათ მეორე ლელოს გატანის საშუალება მისცეს „ლობოსებს“. მერე ჩეხები ბევრს კი ეცადნენ, მაგრამ ამაოდ. ბოლო წუთებზე მიღებულმა ჯარიმამ საბოლოოდ გატეხა ისინი.

ჩეხებს საქართველოში თამაში 20 მარტს ელით და მათ კარგად იციან, რომ თუ ამ ჯგუფში ადგილის შენარჩუნება სურთ, კიდევ ერთი მატჩი მაინც უნდა მოიგონ. 2003-04 წლების ერთა თასის ორი გათამაშების ჯამში ბოლოადგილოსანი 2005 წელს ადგილს უთმობს ერთა სინის (ევროპის რანგით მესამე სანაკრებო ლიგა) მფლობელ უკრაინას.

ნინო ლეჭავა

ჩეხეთი

I ხაზი: სკალი, რაპანტი, ბუსტერი, მარეკი, ჰარმენტი, შტასტნი

II ხაზი: ვოვეცი, ნემეჩეკი

III ხაზი: ვონდრაშეკი, ზოლა, მახაჩეკი, ჰეკაჩეკი

უკანა ხაზი: სიროვი, ბრაბეცი, კრეცი, კაფკა, პეკარეკი, ჩამრდა, ცაკი, იაგრი, როჰლიკი, ნევიცკი

2003-04 წლების ჯამური ცხრილი

1	რუმინეთი	8	7	0	1	22
2	პორტუგალია	8	7	0	1	22
3	საქართველო	8	4	1	3	17
4	რუსეთი	7	2	0	5	11
5	ჩეხეთი	7	2	0	5	11
6	ესპანეთი	8	0	1	7	9

ამ უქმეებზე ექვსი ერისა და ერთა თასის თამაშების შედეგებმა მცირეოდენი ცვლილებები შეიტანა მსოფლიო რეიტინგსიებში. რუსების მძლეველმა ბორჯღალოსნებმა ირბ-ს რეიტინგში ერთი ადგილით წაიწიეს და ახლა 22-ე საფეხურზე არიან. რუსები კი 22-ედან 24 ადგილზე ჩაჩოჩდნენ. შორიახლოს დადარაჯებულა უკრაინის ნაკრები, ანუ თუ ირბ-ს ვერწმუნებით, ჩვენ და უკრაინელები დაახლოებით ერთი წონისანი უნდა ვიყოთ. უკრაინა, მოგეხსენებათ, მომავალი წლიდან ესპანეთს, ან შესაძლოა, ჩეხეთს ჩაენაცვლება ერთა თასზე.

ირბ-ს რეიტინგი

1 (1)	ინგლისი	91,99
2 (2)	ახალი ზელანდია	90,92
3 (3)	ავსტრალია	86,5.
4 (4)	საფრანგეთი	84,08
5 (6)	ირლანდია	82,52
6 (5)	სამხრეთ აფრიკა	81,23
7 (7)	არგენტინა	78,02
8 (8)	უელსი	76,21
9 (9)	შოტლანდია	74,63
10 (10)	სამოა	73,46
11 (11)	იტალია	72,96
12 (12)	ფიჯი	71,82
13 (13)	კანადა	68,55
14 (14)	რუმინეთი	68,57
15 (15)	აშშ	67,65
16 (16)	ურუგვაი	64,48
17 (18)	პორტუგალია	63,71
18 (17)	ტონგა	63,15
19 (19)	მაროკო	61,56
20 (20)	იაპონია	61,42
22 (23)	საქართველო	60,73
24 (22)	რუსეთი	59,63
25 (25)	უკრაინა	58,32
27 (27)	ჩეხეთი	56,84
30 (30)	ესპანეთი	54,44

დადგინდა

საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობამ ოფიციალურად დაადგინა და გამოაცხადა რაგბის კავშირის ხელახალი ყრილობის და შესაბამისად ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნების მოწვევის თარიღი. კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით ყრილობა მოწვეულ უნდა იქნას 29 მარტს. ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა გამგეობის ხუთი წევრიდან ოთხმა.

ტაშკენტისკენ მიდის ქარავანი

ხასაიას ათეინის შანსი გაუნაწილა

ერთი კვირის წინ სერბულ ნოვი სადში გამართულ ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა სალიცენზიო ტურნირზე სამი ქართველი მოჭიდავიდან ორმა ათენის საგზური მოიგო. ულიცენზიოდ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, ბადრი ხასაია დარჩა. მიზეზი პირველივე შეხვედრაში მიღებული მუხლის ტრავმა იყო.

გაუწყეთ კიდეც, რომ გერმანიის ნაკრების ექიმმა კუნთის გაწყვეტა დაუდგინა. ეს სპორტს რამდენიმე თვით ჩამოცილებას ნიშნავდა და მწვრთნელმა ბეგი დარჩიამაც სასწრაფოდ ხასაიას შემცვლელზე დაიწყო ფიქრი.

13-14 მარტს ტაშკენტში ბოლო სალიცენზიო ტურნირია. გასამგზავრებელი ბილეთები ქართველებმა უკვე დაჯავშნეს. უზბეკეთში ბეგი დარჩია, ნაკრების ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი და ბადრი ხასაია მიემგზავრებიან. როგორც გუშინ თავად ხასაიასგან შევიტყვეთ, ტრავმა არც ისეთი საგანგაშო ყოფილა, თავიდან რომ ფიქრობდნენ.

„უკვე რამდენიმე დღეა, ვარჯიშსა და მკურნალობას ერომანეთს უთავსებ ვცდილობ, ნატკენ ფეხს ფაფა ფრ—ავაჭანო და სწორაფად მორჩენის საშუალება მივცე. გერმანელი ექიმის დიაგნოზმა ლამის ყველაფერზე ხელი ჩამაქნევინა. მისი თქმით, ჯკვარედინი იოგები მქონდა დაწყვეტილი. თბილისში გადაღებულმა ექოსკოპიამ მხოლოდ დაზიანება აჩვენა და ოპერაციას გადავურჩი. ტკივილებს ახლაც ვგრძნობ, მაგრამ იმედია, ტურნირამდე დარჩენილ დღეებში გამივლის. ზურაბ კახაბრიშვილი თავს მევლება. ტაშკენტშიც ჩემს გვერდით იქნება და ყველანაირად დამეხმარება. წარმატების რწმენას კი შარშანწინდელი ევროპის ჩემპიონატის გახსენება მმატებს. მაშინაც ანალოგიური ტრავმა მივიღე ტურნირის დაწყებამდე 12 დღით ადრე.“

შეგახსენებთ, რომ 2002 წლის ევროპაზე ხასაიამ ოქროც მოიგო და ჩემპიონატის საუკეთესო მოჭიდავედაც დაასახელეს. ტაშკენტში კი ათენის ლიცენზიის მოსაპოვებლად ნახევარფინალში გასვლაც იკმარებს.

რეგულარული ჩემპიონატი

სისხლი ყინულზე

მხეც ბერტუცის სისხლის სამართალი ელის

8 მარტი

ვანკუვერი 2:9 კოლორადო

0:5 2:1 0:3

0:1 ჰეიდუკი (7), 0:2 კონოვალჩუკი (15), 0:3 საკიკი (16), 0:4 ჰენდრიქსონი (16), 0:5 მური (17), 1:5 მეი (28), 2:5 მეი (29), 2:6 მორისი (33), 2:7 კარია (42), 2:8 ჰეიდუკი (44), 2:9 ჰეიდუკი (52)

რამ გაამხეცა ეს ჰოკეისტები. ჯერ პარასკევს „ფილადელფია“ — „ოტავას“ მატჩის ვნებათაღელვა არ ჩამცხრალა (ამ გუნდების 2 აპრილის შეხვედრაში არანაკლებ ცემა-ტყეპას ელიან) და აი, მორიგი სისასტიკე- „ვანკუვერისა“ და „კოლორადოს“ ჩხუბი მასობრივი არ ყოფილა, მაგრამ ისეთი რამ მოხდა, მრავალისმნახველი ნჰლ-ელებიც კი შოკში ჩაადო.

...ამ გუნდების წინა მატჩში კოლორადოელმა სტივ მურმა „ვანკუვერის“ ლიდერ მარკუს ნესლუნდს სახეში იდაყვი ჩაარტყა, რსი გამოც კანადელთა კაპიტანმა სამი მატჩი გამოტოვა. ცხადია, ამის გამო „კენაქსის“ მოთამაშეები დაიბოღმნენ და როგორც კი საშუალება მიეცათ, შურისძიება სცადეს. ამიტომ პირველი პერიოდის ჩხუბი არავის გაჰკვირვებია. მით უმეტეს, რომ მატჩის ბედი ერთობ სწრაფად გადაწყდა სტუმართა აშკარა დომინირების გამო. ცხადია, მურმაც იჩხუბა. მას მეტ კუკი ეტაკა, ხოლო გუნდების საშტატო „პოლიციელებმა“ კოლორადოელმა პიტერ უორელმა და ვანკუვერელმა ბრედ მეიმ სამჯერ(!) მოუსინჯეს რქები ერთმანეთს. ამის შემდეგ ვნებათაღელვამ თითქოს იკლო, მაგრამ მესამე პერიოდის შუაგულში თავისთვის მშვიდად მოსრიალე მურს უცებ უკნიდან 100 კგ-მიანი ტოდ ბერტუცი ეცა. მური დაეცა, ტოდმა კი გააგრძელა მისი ცემა და მერე უგრძნობლად მყოფი მეტოქე ყინულზეც ათრია. თქვენ წარმოიდგინეთ, ყინულზე სისხლის კვალიც კი დარჩა. ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ პარტნიორებმა მურის დაცვა ვერც მოახერხეს. კოლორადოელი საკაცით გაიყვანეს, ანგარიშსწორება კი გაგრძელდა. საქმეში კიდევ ნალამ მწვრთნელებიც ჩაერივნენ, მაგრამ კოლორადოელი ტონი გრენატოს გამომწვევ შენახილებს მისი ვანკუვერელი კოლეგა მარკ კროუფორდი (სხვა შორის, ადრე „კოლორადოს“ წვრთნიდა) არ აჰყვა.

„ცხადია, მე ჩემს ბიჭებს გვერდით დავუდექი და კროუფორდს დავემუქრე, ვინაიდან ის პასუხს აგებს თავისი მოთამაშეები საქციელზე“ — ბობოქრობდა ნამატჩევს გრენატო. მისი ერთ-ერთი შეგირდი დერეკ მორისი კი გაოგნებული იყო მატჩის შემდეგ: „შვიდი წელია, ლიგაში ვთამაშობ და ასეთი რამ არ მინახავს, თავშიც არ მომსვლია, რომ ასათი რამ შეიძლებოდა, მომხდარიყო, მათი თავკაცი კი იცინოდა კიდეც.“

კროუფორდი თამაშის შემდეგ ძალიან შეწუხებული იყო და არც უცდია ბერტუცის გამართლება. „ახლა ყველანი მურზე ვფიქრობთ და ვლოცულობთ, რომ ყველაჯერი კარგად დასრულდეს. ბერტუცი საშინლად გრძნობს თავს და გონებას ახლაც ვერ იკრებს“ — თქვა „ვანკუვერის“ თავკაცმა.

ბოლოს დავძენთ, რომ ბერტუცის მინიმუმ 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის და ეგებ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც აღიძრას.

დეტროიტი 1:1 ტამპა

0:0 1:0 0:0

1:0 ჰოლმსტრიომი (36), 1:1 მოდინი (53)

ვაშინგტონი 1:4 ოტავა

0:2 1:1 0:1

0:1 ფილიპსი (9), 0:2 ჰავლატი (17), 1:2 პიატი (27), 1:3 რედენი (30), 1:4 ფიშერი (52)

კოლუმბუსი 1:4 კაროლინა

0:2 0:0 1:2

0:1 უორდი (14), 0:2 კოული (15), 0:3 უორდი (43), 1:3 ნეში (53), 1:4 ადამსი (60)

ანაჰაიმი 2:5 მონრეალი

1:1 0:1 1:3

1:0 ნიდერმაიერი (5), 1:1 კოიფუ (18), 1:2 ზედნიკი (35), 1:3 დაფენე (49), 1:4 რაიდერი (55), 2:4 სიკორა (57), 2:5 ბეგინი (60)

ტოდ ბერტუცისგან უმოწყალოდ ნაცემი კოლორადოელი სტივ მური საკაცით გაიყვანეს ყინულიდან

არჩი ჰანის (მარცხნივ) სენტლუისური ფინიში ყველაზე მოკლე სპრინტში

მილუოკელი მეტეორი

ამერიკელი არჩი ჰანი უდიდესი სპორტსმენი იყო. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახლდათ, არამედ იმადაც, რომ დროს გაუსწრო. 1904 წელს 200 მეტრზე რბენაში მან მსოფლიოს რეკორდი დაამყარა — 21,6. ამ რეკორდმა 28 წელიწადს გაუძლო და მხოლოდ 1932 წელს, ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე დაემხო

არჩი ჰანის სენტლუისური ტრიუმფის მოწმე, ოლიმპიური თამაშებისა და საერთოდ სპორტის ისტორიკოსი ლუკასი იხსენებდა — არჩი ჰანი უკონკურენტო იყო, იგი იოლად იმარჯვებდა და მისთვის სერიოზული მეტოქეობა რომ გაეწიათ, უფრო სწრაფადაც ირბენდა მაშინ, როცა სხვები ამ დროს თავდაუზოგავად მხოლოდ მეორე ადგილისთვის იბრძოდნენო.

მაშინაც, 200 იარდზე იმ დროისთვის ფენომენალური შედეგის ჩვენებისას არჩი ჰანი სტარტზე მშვიდად და აუღელვებლად დადგა. თითქოს მისთვის სულ ერთი იყო, ფინიშთან მერამდენე მივიდოდა. და ამ დროს სხვები ნერვიულად ცქმუტავდნენ და ადგილს ვერ პოულობდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, ამგვარ დაძაბულობას ცრუ სტარტი მოჰყვა. ერთბაშად სამი სპორტსმენი ადგილს მოსწყდა და სხვებიც თან მიჰყვნენ.

როგორც ლუკასი იხსენებს, ამ დროს უნერვო ქანდაკებასავით ერთ ადგილზე გაქვავებული მხოლოდ არჩი ჰანი დარჩა. ისიც შენიშნეს, რომ ჰანი სტარტზე მეტოქეებზე 12 დიუმით უკან იდგა. ბოლოს, განმეორებითი სტარტის მერე კი ფინიშის ხაზის გადაკვეთისას უახლოესი მდევარი მას ორი იარდით ჩამორჩენოდა.

ჩემპიონის ერთ-ერთი ვითომ მეტოქე რობერტსონი ამბობდა, არჩი ჰანს საოცრად სწრაფი რეაქცია ჰქონდაო. იმასაც იხსენებდა, მსაჯის სასტარტო ნიშანი გასრულებულიც არ იყო, როცა სხვები ჰანის ზურგს ვხედავდით და მისი რბენით ავარდნილ მტვერს ვყლაპავდითო.

ჰანი რობერტსონს არ ეთანხმებოდა, მაგრამ ეს ლამაზი ლეგენდა მოსწონდა და არც უარყოფდა.

ამიტომაც არჩი ჰანს „მილუოკელი მეტეორი“ შეარქვეს.

არადა, ეს მილუოკელი, რომლის სრული გვარ-სახელი ჩარლზ არჩიბალდ ჰანია, როცა სენტ ლუისში ჩავიდა, ფართო სპორტული საზოგადოებისთვის სრულიად უცნობი 24 წლის მძლეოსანი იყო. თუმცა იქ მსოფლიოს რეკორდსმენის რანგში გამოდიოდა. თავდაპირველად მიჩიგანის უნივერსიტეტში მძლეოსანთა ამხანაგურ შეჯიბრებებში სახალისოდ მონაწილეობდა და იმარჯვებდა.

იმ „თამაშ-თამაშით“ 1901 წელს 100 იარდზე რბენაში მსოფლიოს რეკორდი (9,8 წამი) დაამყარა. მერე, 1903 წელს 100 და 220 იარდზე ეროვნულ ჩემპიონატში ყველას აჯობა და სენტ-ლუისის ოლიმპიური თამაშებისთვის ამერიკის ნაკრებში საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი.

და მაინც პირველი აღიარება მაშინ მოვიდა, როცა სენტ ლუისის ოლიმპიურ თამაშებზე 100 იარდზე გაიმარჯვა, 60 და 200 იარდზე ჩემპიონობით კი სახელი ფრიად გაუვარდა და ეროვნულ გმირად შერაცხეს. ამგვარად, არჩი ჰანი გახდა პირველი, ვინც 100 და 200 იარდზე რბენაში იმარჯვა, რომ აღარაფერი ვქთვათ 60 იარდზე ჩემპიონობაზე.

მსგავსი წარმატება, ანუ სამივე სპრინტერულ დისტანციაზე ჩემპიონობა არც მანამდე დაუმსახურებია ვინმეს და არც მას მერე. არჩი ჰანის ამგვარ უნიკალურ მიღწევას ვერც მომავალში გაიმეორებენ, რადგან 60 მეტრზე რბენა ოლიმპიური თამაშებიდან ამოიღეს და არც მსოფლიოს ჩემპიონატების პროგრამაშია.

არჩი ჰანმა 1906 წელს ათენში გამართულ რიგგარეშე ოლიმპიური თამაშების საიუბილეო, 10 წლის აღმნიშვნელ ასპარეზობაშიც სცადა ძალა. არჩი ჰანმა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების სამშობლოშიც დაამტკიცა თავისი უძლეველობა და 100 მეტრზე რბენაში ოქროს მედალი მოიპოვა. ათენური თამაშების პროგრამაში 60 და 200 მეტრზე რბენაც რომ ყოფილიყო, არჩი ჰანი, რაღა თქმა უნდა, იქაც ჩემპიონი გახდებოდა.

ამ „მეტეორმა“ მიჩიგანის უნივერსიტეტის დამთავრების მერე იურისტის დიპლომი მიიღო, თუმცა თავისი სპეციალობით ერთი დღეც არ უმუშავია. იგი პრინსტონისა და ვირჯინიის უნივერსიტეტებში გადაიბირეს, სადაც იქაურ მორბენლებს სპრინტის „კლასიკაში“ ავარჯიშებდა.

არჩი ჰანი 1955 წელს, 75-ისა გარდაიცვალა, მაგრამ ამ „მილუოკელი მეტეორის“ ელვარე კვალი დღემდე შემორჩა სარბენ ბილიკებს.

ავთანდილ გურასაშვილი

რუსული თავდასხმა

მისკინა დიდ გოგოებს აწვალებს

თუკი საქმეში ოდნავ ჩახედული მკითხველი ბრძანდებით, ამ რეიტინგსიების გადაკითხვისას რამდენსამე დასკვნას თავადვე გააკეთებთ. თუ არა და, ჩვენ აგერ არა ვართ?!

კაცთა განყოფილებაში წინა კვირებთან შედარებით განსაკუთრებული არაფერი მომხდარა — როჯერ ფედერერმა დუბაობაზე ტიტულის შენარჩუნებით შარშან იქ მორეწილი ქულებიც დაინარჩუნა და ამდენად მის ორმაგ პირველოსნობას ჯერ-ჯერობით არაფერი ემუქრება.

ჩემპიონთა რბოლაში ექვსი საფეხურით აიმაღლა აკაპულკოში ნახეირალმა კარლოს მოიამ, ვინაც მხოლოდ ავსტრალიის წლევანდელი პირველობის ფინალისტებს — იმავ ფედერერსა და მის მიერ ძლეულ მარატ საფინს ჩამორჩება. თავის 31-ე ადგილში ციფრებს ადგილი შეუნაცვლა და 13-ზე დადგა დუბაურ ნახევარფინალამდე მიღწეული ფინელი იარკო ნიემინენი.

რაც შეეხება ქალთა ზეოცეულს, აქ, ბუნებრივია, ყველაზე მკვეთრად რუსგოგოთა — ყატარის პირველობის მომგებ ანასტასია მისკინასა და ფინალში მასთან დამარცხებულ სვეტლანა კუზნეცოვას ქულათა მარაგმა იმატა. მისკინა გახდა პირველი რუსი ქალი, ზეხუთეულამდე აღზევება რომ მოახერხა. სხვათა შორის, ზეთხუთმეტეულის ერთ მესამედს სწორედ რუსი გოგონები შეადგენენ. [illegible] —

ბელგიური ზეჯუფთი — ჭინკა ენენი და ბომბორა კლაისტერსი პირველ-მეორეზე კვლავაც მყარად დგანან. ზაფხულის მერე უთამაშებელმა სერენა უილიამსმა მეშვიდე ადგილამდე ჩაიწია, მისი უფროსი და ვინუსი კი, ვინაც წლეულს რამდენჯერმე წარუმატებლად წაიჩოგნავა, მასზე სულაც ათი ადგილით დაბლაა.

ჩემპიონთა რბოლა

1	(1)	ფედერერი	272
2	(2)	მარატ საფინი (რუსეთი)	144
3	(9)	მოია	134
4	(3)	დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი)	129
5	(4)	ფერერო	127
6	(7)	როდიკი	117
7	(5)	ჰიუიტი	115
8	(6)	აგასი	105
9	(8)	კუერტენი	90
10	(10)	იოახიმ იოჰანსონი (შვედეთი)	77
11	(11)	ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი)	69
12	(17)	შალკენი	66
13	(31)	იარკო ნიემინენი (ფინეთი)	65
14	(13)	შრიჩაფანი	64
15	(27)	ნიკოლას კიფერი (გერმანია)	63
16	(12)	გროჟანი	62
17	(13)	ჰენმანი	60
18	(15)	აგუსტინ კალიერი (არგენტინა)	58
18	(22)	ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია)	58
18	(22)	რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	58

12-თვიანი მგორავი რეიტინგსიები

ვაჟები

1	(1)	როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	5170
2	(2)	ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)	4460
3	(3)	ენდი როდიკი (აშშ)	4335
4	(4)	გილერმო კორია (არგენტინა)	3240
5	(5)	ანდრე აგასი (აშშ)	2770
6	(6)	რაინერ შუტლერი (გერმანია)	2495
7	(7)	კარლოს მოია (ესპანეთი)	2420
8	(8)	დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	1965
9	(9)	ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	1700
10	(11)	ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი)	1700
11	(12)	პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი)	1655
12	(13)	ნიკოლას მასუ (ჩილე)	1602
13	(10)	მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია)	1590
14	(14)	სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი)	1560
15	(15)	სხენგ შალკენი (ჰოლანდია)	1560
16	(16)	გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)	1520
17	(17)	ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი)	1375
18	(19)	მარტინ ფერკერკი (ჰოლანდია)	1350
19	(18)	მერდი ფიში (აშშ)	1275
20	(20)	ტომი რობრედო (ესპანეთი)	1235

ქალები

1	(1)	ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია)	7262
2	(2)	კიმ კლაისტერსი (ბელგია)	6699
3	(3)	ამელი მორესმო (საფრანგეთი)	3353
4	(4)	ლინდსი დევენპორტი (აშშ)	3049
5	(7)	ანასტასია მისკინა (რუსეთი)	2779
6	(5)	ჯენიფერ კაპრიატი (აშშ)	2776
7	(6)	სერენა უილიამსი (აშშ)	2584
8	(8)	ელენად დემენტიევა (რუსეთი)	2270
9	(9)	ჩანდა რუბინი (აშშ)	2269
10	(10)	აი სუგიამა (იაპონია)	2101
11	(11)	ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	2027
12	(12)	ნადია პეტროვა (რუსეთი)	1967
13	(13)	პაოლა სუარესი (არგენტინა)	1601
14	(20)	სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	1542
15	(14)	სილვია ფარინა ელია (იტალია)	1534
16	(15)	ელენა დოკიჩი (სერბეთი)	1455
17	(16)	ვინუს უილიამსი (აშშ)	1415
18	(17)	პატი შნიდერი (შვეიცარია)	1395
19	(18)	ანა პისტოლეზი (ისრაელი)	1309
20	(19)	კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)	1302

REUTERS ქაბულიდან

სარვამარტო კარატე

ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ქაბულში კარატე გამართეს ავღანელმა ქალებმა. თალიბთა წასვლის შემდეგ გოგონები სკოლასაც დაუბრუნდნენ და სპორტსაც. ასე რომ, ავღანეთი აღარ არის მხოლოდ ომის და აკრძალვების ქვეყანა.

ის ბრუნდება

ევანდერ ჰოლიფილდი ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონია მძიმე წონაში და აწ ჩამოწერილ ვარსკვლავად იცნობენ. მაგრამ, აი, ნიუ იორკში პრესკონფერენცია გაუმართავს და განუცხადებია, წლეულს კვლავაც ვიკრივებთ. თუ ასე მოხდა და იმარჯვა კიდეც, ევანდერი პირველი მოკრივე იქნება მსოფლიოში, ხუთჯერ სხვადასხვა დროს რომ ყოფილა ჩემპიონი.



REUTERS ნიუ იორკიდან

REUTERS მიუნხენიდან

სტადიონი და ქრთამი

ფოტოზე აღბეჭდილია, როგორ ხარობენ „ბაიერნისა“ და „მიუნხენ-1860“-ის პრეზიდენტები ფრანც ბეკენბაუერი და კარლ ჰაინც ვილდმოზერი, ასევე ბავარიის კულტურის მინისტრი მონიკა ჰოლმაიერი, „ალიანსის“ საბჭოს წევრი მიხაელ ალბერტი და მიუნხენის მერი კრისტიან უდე — ესენი მიუნხენის ახალი სტადიონის მოდელს დაჰხარიან, ახლახან კი ცნობილი შეიქნა, რომ „1860“-ის პრეზიდენტს ამ სტადიონის საშენებლო ამბების გამო შექრთამეობაში ადანაშაულებენ და პოლიცია „ბაიერნის“ ოფისშიც იძიებს ქრთამის საქმეს.

ლუნა როსა

ამერიკის თასის სავარჯიშო ხახტას „ლუნა როსას“ ფრთხილად ტვირთავენ კეიპტაუნის ნავსადგურში. სამხრეთ აფრიკაში გამოცხადდა, რომ ქვეყანა 2007 წელს პირველად უმასპინძლებს ამ ყველაზე პრესტიჟულ სანაოსნო შეჯიბრს. აფრიკელთა ნავ „შოზოლოზას“ კი, რომელიც კეიპტაუნშივე უნდა აავონ, ჯერ მიკი უკაპიტნებს.



REUTERS კეიპტაუნიდან

თვითონ წავიდეს

„ვაშინგტონ კეპიტალზის“ პატრონმა ტედ ლეონსისმა ამ სეზონში გულშემატკივრისთვის საყვარელი რამდენიმე ვეტერანი ჰოკეისტი გაყიდა. ჰოდა, ახლა ვაშინგტონელები ითხოვენ, თვითონ ლეონსისი გავყიდოთო.



REUTERS ვაშინგტონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge